საბჭოთა მთავრობის სიბრძნე და მშვიდობისმოყვარეობა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი
№ 256 (12464)

სამშაბათი, 30 ოქტომბერი, 1962 წ.

ფასი 2 კაპ.

მოსკოვი, კრემლი

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს

საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრების მონაწილენი რესპუბლიკის ყველა კოლმეურნის, საბჭოთა მეურნეობის მუშის, სოფლის მეურნეობის სპეციალისტის, ჩაის მრეწველობის მუშაკისა და ყველა მშრომელის სახელით მხურვალედ, სულითა და გულით მადლობას უხდიან კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას და თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, იმისათვის, რომ დიდად შეაფასეთ ჩვენი შრომითი ღონისძიებანი ჩაის წარმოებაში.

სკკპ XXII ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებებით, ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მიერ მათ წინაშე დასახული ამოცანებით შეიარაღებულმა მეჩაიეებმა, სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, ისევე როგორც საქართველოს ყველა მშრომელმა, გააჩაღეს ბრძოლა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის.

საქართველოს მეჩაიეთა გამარჯვება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დაძაბული შრომის, სოფლის მეურნეობის მართვის ახალი სისტემის შედეგია.

ჩვენ, საქართველოს მეჩაიეებს, დიდად გვახარებს, რომ მიმდინარე წელს, როცა 170.200 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოვკრიფეთ, ავიღეთ შვიდწლედის უკანასკნელი წლის მიჯნა, და ამით 1958 წელთან შედარებით თითქმის ერთიორად გავადიდეთ ძვირფასი ნედლეულის წარმოება.

პარტიის ბრძნული გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის პროდუქტთა წარმოების მკვეთრი გადიდება, თქვენი, ნიკიტა სერგის-ძევ, დაუშრეტელი ენერგია და მამობრივი ზრუნვა საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისათვის აღგვაფრთოვანებენ ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ თავდადებული შრომისათვის. ის, რასაც საქართველოს მეჩაიეებმა მიაღწიეს მიმდინარე წელს, მხოლოდ პირველი ნაბიჯია. ჩვენ გავაანალიზეთ ჩვენი შესაძლებლობანი, გადავსინჯეთ შვიდწლედის დასახულობანი, რათა უახლოეს წლებში უზრუნველვყოთ ჩვენი ჩაის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობა. მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი 1963 წელს მივაღწიოთ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოების შემდგომ გადიდებას და 1965 წელს ავიყვანოთ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მოსავლიანობა 200.000 ტონამდე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება, ჩვენი შრომის დიდი შეფასება კიდევ უფრო აღფრთოვანებენ რესპუბლიკის მევენახეებს, მებაღეებს, მეციტრუსეებს, მეცხოველეებს, მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მშრომელებს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის.

კომუნისტური პარტია, პირადად თქვენ, ნიკიტა სერგის-ძევ, მოგვიწოდებთ ჩვენ, კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, გავუფრთხილდეთ საბჭოთა ადამიანის ღირსებას. ყოველ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ ჩვენი თავდადებული შრომით ყოველმხრივ განვამტკიცოთ საზოგადოებრივი მეურნეობა, გავადიდოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტთა წარმოება. კარგად გვახსოვს თქვენი სიტყვები, რომ კომუნიზმი შეიძლება ავაშენოთ მილიონობით ადამიანის შრომით, შრომითა და მხოლოდ შრომით. ეს ახლა სოფლის ყოველი მშრომელის მწიდათა წვიდა მცნებაა. ეს არის ჩვენი ძალა. ყოველ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ ჩვენს შორის არ იყვნენ ზარმაცები, მუქთახორები, უსაქმურები.

გულმხურვალედ ვუჭერთ მხარს პარტიისა და მთავრობის ყველა ღონისძიებას მშვიდობისათვის ბრძოლაში, ამერიკელ აგრესორთა ასალაგმავად, რომლებიც ცდილობენ ბლოკადით მოახრჩონ გმირი კუბა, ჩაითრიონ მსოფლიო გამანადგურებელი ომის მორევში, და აღვუთქვამთ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, რომ ვამრავლებთ ჩვენს შრომითს ღონისძიებებს სამშობლოს სამხედრო და ეკონომიური ძლიერების განმტკიცებისათვის.

მოვედით რა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ხალხმრავალ შეკრებაზე, გამოვხატავთ რესპუბლიკის ყველა მშრომელის გრძნობებსა და ფიქრებს და მხურვალე სალამს ვუთვლით კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, მშობლიურ საბჭოთა მთავრობას, და აღვუთქვამთ, რომ საქართველოს ყველა მშრომელი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმება კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ყოველ ღონეს იხმარს, რათა განხორციელდეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობის დიდებული ამოცანები და ამით ღირსეული წვლილს შეიტანს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობაში.

გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს!

შეკრების მონაწილენი.

ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი

მაერთიანებელი ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივნის მოვალეობის შესრულებელს უ ტანტ

პატივცემულო ბ-ნო უ ტან!

გიგზავნით იმ წერილის პირს, რომელიც დღეს გავუგზავნე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ბ-ნ ჯ. კენედის, იმისათვის, რომ გაეცნოთ ჩვენს, როგორც ეს ჩვენ მიგვაჩნია, ამომწურავ პოზიციას, რომელიც გაგიგადვილებთ თქვენი კეთილშობილური ფუნქციების შესრულებას.

იმასთან დაკავშირებით, რომ ამჟამად თქვენ მოლაპარაკებას აწარმოებთ საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კუბის რესპუბლიკის წარმომადგენლებთან, საბჭოთა მთავრობამ ნიუ-იორკს გაგზავნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, რათა ხელი შეუწყოს თქვენს მეცადინეობას შექმნილი საშიში მდგომარეობის ლიკვიდაციისათვის.

თქვენი პატივისმცემელი ნ. ხრუშჩოვი.

1962 წლის 28 ოქტომბერი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯ. კენედისადმი

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

მივიღე თქვენი ამა წლის 27 ოქტომბრის წერილი. კმაყოფილებასა და მადლობას გამოვთქვამ, რომ თქვენ გამოიჩინეთ ზომიერების გრძნობა და იმ პასუხისმგებლობის გაგება, რომელიც ამჟამად გაკისრიათ მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

ჩემთვის სავსებით გასაგებია თქვენი წუხილი და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხთა წუხილი იმასთან დაკავშირებით, რომ იარაღი, რომელსაც თქვენ შეტევითს უწოდებთ, მართლაც მრისხანე იარაღია.

თქვენც და ჩვენც გვესმის, თუ რა იარაღია ეს!

მალე რომ მოვსპოთ მშვიდობის საქმისათვის საშიში კონფლიქტი, რწმენა ჩავუნერგოთ მშვიდობას მოწყურებულ ყველა ხალხს, დავამშვიდოთ ამერიკის ხალხი, რომელსაც, როგორც მე დარწმუნებული ვარ ისევე სურს მშვიდობა, როგორც ეს საბჭოთა კავშირის ხალხებს სურთ, საბჭოთა მთავრობამ იარაღის განსალაგებელ სამშენებლო მოედნებზე შემდგომ სამუშაოთა შეწყვეტის შესახებ უკვე წინათ მიცემულ მითითებათა დამატებით გასცა ახალი განკარგულება, რომ მოახდინონ დემონტაჟი იარაღისა, რომელსაც თქვენ შეტევითს უწოდებთ, შეფუთონ და დააბრუნონ საბჭოთა კავშირში.

ბ-ნო პრეზიდენტო, მინდა ერთხელ კიდევ გავიმეორო, რასაც უკვე გწერდით ჩემს წინა წერილებში, რომ საბჭოთა მთავრობამ კუბის რესპუბლიკის მთავრობას გაუწია ეკონომიური დახმარება, მისცა იარაღი, რამდენადაც კუბას, კუბელ ხალხს განუწყვეტლივ მოელოდათ კუბაში შეჭრის საფრთხე.

მეკობრული გემიდან სროლა აუტეხეს ჰავანას. ამბობენ, რომ უპასუხისმგებლოდ ისროდნენ კუბელი ემიგრანტები. შესაძლოა, ეს ასედაც იყოს. მაგრამ იბადება კითხვა, საიდან ისროდნენ ისინი. მათ, ამ კუბელებს, ტერიტორია ხომ არ აქვთ, ისინი გაქცეული არიან სამშობლოდან, არ გააჩნიათ რაიმე საშუალება, რომ აწარმოონ საომარი მოქმედება.

მაშასადამე ვიღაცამ მისცა მათ ხელში ეს იარაღი ჰავანისათვის ცეცხლის დასაშენად, მეკობრული მოქმედებისათვის კარიბის ზღვაში, კუბის ტერიტორიულ წყლებში. ხომ წარმოუდგენელი რამ არის ჩვენს დროში ვერ შეამჩნიოს მეკობრული ხომალდი, როცა მით უფრო ასე ჭარბად არიან ამერიკის ხომალდები კარიბის ზღვაში, რომლებიდანაც ყველაფერს სინჯავენ და უთვალთვალებენ. და ასეთ პირობებში მეკობრული ხომალდები თავისუფლად დასეირნობენ კუბის გარშემო, ცეცხლს უშენენ კუბას, მეკობრულად ესხმიან თავს მშვიდობიან სატრანსპორტო გემებს. ხომ ცნობილია, რომ მათ ინგლისის სატვირთო გემსაც კი აუტეხეს სროლა.

ერთი სიტყვით, კუბას მოელოდა განუწყვეტელი საფრთხე აგრესიული ძალებისაგან, რომლებიც არ ფარავდნენ, რომ განზრახული ჰქონდათ შეჭრილიყვნენ კუბის ტერიტორიაზე.

კუბელ ხალხს სურს თავისი ინტერესებისათვის აშენოს თავისი ცხოვრება, ისე რომ გარედან არავინ ერეოდეს. ეს მისი უფლებაა, და დანაშაულად ვერ ჩავუთვლით, რომ მას სურს იყოს თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონი, განაგებდეს თავისი შრომის ნაყოფს. კუბაში შეჭრის მუქარა და მთელი სხვა წამოწყებანი კუბის გარშემო დაძაბული ვითარების შესაქმნელად იმისათვის არის განკუთვნილი, რომ რწმენა შეურყიონ კუბელ ხალხს, დაამინონ იგი, ხელი შეუშალონ დამშვიდებით აშენოს თავისი ახალი ცხოვრება.

ბატონო პრეზიდენტო, ერთხელ კიდევ მინდა გარკვევით ვთქვა, რომ ჩვენ ამას გულგრილად ვერ მოვეკიდებოდით, და საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა დახმარება გაეწია კუბისათვის თავდაცვის საშუალებებით აგრესიის წინააღმდეგ, მხოლოდ თავდაცვის საშუალებებით. ჩვენ მივაწოდეთ კუბას თავდაცვის საშუალებანი, რომლებსაც თქვენ შეტევის საშუალებებს უწოდებთ. მივაწოდეთ ეს საშუალებანი, რათა არ მომხდარიყო თავდასხმა კუბის წინააღმდეგ, რათა არ ყოფილიყო დაშვებული წინდაუხედავი აქციები.

მე პატივისცემითა და ნდობით ვეკიდები თქვენს განცხადებას, რომელსაც შეიცავს თქვენი 1962 წლის 27 ოქტომბრის წერილი, რომ კუბას თავს არ დაესხმიან, კუბაში არ შეიჭრებიან, ამასთან არა მარტო შეერთებული შტატები, არამედ დასავლეთ ნახევარსფეროს სხვა ქვეყნებიც, როგორც ნათქვამია თქვენს იმავე წერილში. მაშინ გაქრება ის მოტივებიც, რომელთა გამო ამ ხასიათის დახმარება გავუწიეთ კუბას. სწორედ ამიტომ მივეცით მითითება ჩვენს ოფიცრებს (ეს საშუალებანი კი, როგორც უკვე გაცნობეთ, საბჭოთა ოფიცრების ხელშია) განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებანი, რათა შეწყვეტონ აღნიშნული ობიექტების მშენებლობა, მოახდინონ მათი დემონტაჟი და დააბრუნონ საბჭოთა კავშირში. როგორც უკვე გაცნობეთ 27 ოქტომბრის წერილში, ჩვენ თანახმა ვართ მოვრიგდეთ იმაზე, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლებს შეეძლოთ დარწმუნდნენ ამ საშუალებათა დემონტაჟის განხორციელებაში.

ამრიგად, თუ დავეყრდნობით თქვენს მიერ გაკეთებულ განცხადებებს და ჩვენს განკარგულებებს დემონტაჟის შესახებ, ხელთა გვაქვს შექმნილი კონფლიქტის ლიკვიდაციისათვის საჭირო ყველა პირობა.

მე კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ თქვენ გამოეხმაურეთ ჩემს სურვილებს — აღმოვფხვრათ აღნიშნული საშიში მდგომარეობა, აგრეთვე შევქმნათ პირობები, რომ უფრო დაკვირვებით შევავფასოთ, საერთაშორისო მდგომარეობა, რომელსაც შეიძლება დიდი საშიშროება მოჰყვეს თერმოატომური იარაღის, რაკეტული ტექნიკის, კოსმოსური ხომალდების, გლობალური რაკეტებისა და სხვა მომაკვდინებელი იარაღის ამ ჩვენს საუკუნეში. მშვიდობის უზრუნველყოფით დაინტერესებულია ყველა ადამიანი. ამიტომ ჩვენ, რომლებიც აღჭურვილი ვართ ნდობით და დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია, არ უნდა დავუშვათ ვითარების გამწვავება და უნდა მოვსპოთ კერები, სადაც შექმნილია საშიში სიტუაცია, რომელსაც შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს მშვიდობის საქმისათვის. და თუ ჩვენ სხვა კეთილი ნების ადამიანთა დახმარებით შევძელით ამ დაძაბული ვითარების აღმოფხვრა, მაშინ უნდა ვიზრუნოთ აგრეთვე იმისათვის, რომ აღარ წარმოიშვას სხვა საშიში კონფლიქტები, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს მსოფლიო თერმოატომური კატასტროფა.

დასასრულ მინდა ვთქვა ნატოს და ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა ურთიერთობის მოწესრიგებაზე, რასაც თქვენ ეხებით. ჩვენ უკვე დიდი ხანია ვლაპარაკობთ ამაზე და მზად ვართ განვაგრძოთ თქვენთან აზრთა გაზიარება ამ საკითხის შესახებ და გამოვნახოთ გონივრული გადაჭრა. გვინდა განვაგრძოთ აგრეთვე აზრთა გაზიარება ატომური, თერმოატომური იარაღის აკრძალვის, საყოველთაო განიარაღებისა და სხვა საკითხთა შესახებ, რომლებიც ეხება საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

ბ-ნო პრეზიდენტო, მე ვენდობი თქვენს განცხადებას, მაგრამ მეორე მხრივ, არიან უპასუხისმგებლო ადამიანები, რომლებიც ამჟამად მოისურვებენ შეიჭრან კუბაში და ამით გააჩაღონ ომი. თუ ჩვენ პრაქტიკულ ნაბიჯებს ვდგამთ, ვაცხადებთ შესაბამის საშუალებათა დემონტაჟსა და კუბიდან ევაკუაციას, ამით ჩვენ გვინდა ამავე დროს რწმენა ჩავუნერგოთ კუბელ ხალხს, რომ მათთან ერთად ვართ და როდი ვიხსნით პასუხისმგებლობას იმისათვის, რომ დახმარება გავუწიოთ კუბელ ხალხს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ქვეყნის ხალხები, ისევე როგორც თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, სწორად გამგებენ. ჩვენ არ ვიმუქრებით, ჩვენ მხოლოდ მშვიდობა გვინდა. ჩვენი ქვეყანა ამჟამად აღმავლობას განიცდის.

ჩვენი ხალხი ტკბება თავისი მშვიდობიანი შრომის ნაყოფით. მან უდიდესი წარმატებები მოიპოვა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, შექმნა უდიდესი მატერიალური, სულიერი და კულტურული ფასეულობანი. ჩვენი ხალხი სარგებლობს ამ ფასეულობებით და სურს კიდევ უფრო განვითაროს თავისი წარმატებები, სურს გულმოდგინე შრომით უზრუნველყოს შემდგომი განვითარება მშვიდობისა და სოციალური პროგრესის გზაზე.

მე მინდა, ბ-ნო პრეზიდენტო, მოგაგონოთ, რომ დაზვერვითი ხასიათის საამხედრო თვითმფრინავები არღვევდნენ საბჭოთა კავშირის საზღვრებს, რის გამოც ჩვენ გვქონდა თქვენთან კონფლიქტები, ნოტების გაცვლა. 1960 წელს ჩვენ ჩამოვაგდეთ თქვენი თვითმფრინავი უ-2, რომლის სადაზვერვო ფრენას სსრ კავშირში მოჰყვა ის, რომ ჩაიფუშა უმაღლეს დონეზე შეხვედრა პარიზში. თქვენ მაშინ სწორი პოზიცია დიკავეთ, დაგმეთ ამერიკის შეერთებული შტატების წინანდელი მთავრობის ეს დანაშაულებრივი მოქმედება.

მაგრამ უკვე პრეზიდენტის პოსტზე თქვენი ყოფნის დროს იყო მეორე შემთხვევა, როცა ამერიკის უ-2 თვითმფრინავმა დაარღვია ჩვენი საზღვარი სახალინის რაიონში. ჩვენ უკვე მოგწერეთ ამ დარღვევის შესახებ 30 აგვისტოს. მაშინ თქვენ გვიპასუხეთ, რომ ეს დარღვევა მოხდა ცუდი ამინდის შედეგად, და აღვვითქვით, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდება. ჩვენ ნდობით მოვეკიდეთ თქვენს დაპირებას, რადგან მართლაც ამ რაიონში მაშინ ცუდი ამინდი იყო.

მაგრამ თქვენს თვითმფრინავებს რომ არ ჰქონოდათ დავალება ეფრინათ ჩვენი ტერიტორიის აღლოს, ცუდი ამინდიც კი ვერ შემოიყვანდა ამერიკის თვითმფრინავს ჩვენს საჰაერო სივრცეში. აქედან გამოდის დასკვნა, რომ ეს ხდება პენტაგონის დასტურით. რომელიც ფეხქვეშ თელავს საერთაშორისო ხორმებს და არღვევს სხვა სახელმწიფოების საზღვრებს.

კიდევ უფრო საშიში შემთხვევა იყო 28 ოქტომბერს, როცა თქვენი მზვერავი თვითმფრინავი შემოიჭრა საბჭოთა კავშირის ფარგლებში ჩრდილოეთში, ჩუკოტკის ნახევარკუნძულის რაიონში და იფრინა ჩვენს ტერიტორიაზე. ისმება კითხვა, ბ-ნო პრეზიდენტო, რა უნდა დავარქვათ ამას. რა არის ეს — პროვოკაცია? თქვენი თვითმფრინავი არღვევს ჩვენს საზღვარს, ამასთან ისეთ შემაშფოთებელ ჟამს, რომელსაც ჩვენ განვიცდით, როცა ყველაფერი გამზადებულია საომრად. ამერიკის თვითმფრინავი — დამრღვევი, ხომ სავსებით შესაძლოა მივიჩნიოთ ბომბდამშენად, რომელიც აღჭურვილია ატომური იარაღით, და ამან შეიძლება საბედისწერო ნაბიჯი გადაგვადგმევინოს. მით უფრო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა და პენტაგონი უკვე დიდი ხანია აცხადებენ, რომ განუწყვეტლივ დაფრინავენ მორიგებობით თქვენი ატომური ბომბებით აღჭურვილი ბომბდამშენები. ამიტომ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა პასუხისმგებლობას კისრულობთ, განსაკუთრებით ახლა, ასეთ შემაშფოთებელ ჟამს, რომელსაც ჩვენ განვიცდით.

გთხოვთ სწორად შეაფასოთ ეს და მიიღოთ შესაბამისი ღონისძიებანი, რომ ეს არ გახდეს პროვოკაცია ომის გაჩაღებისათვის.

მე მინდა გამოვთქვა აგრეთვე შემდეგი სურვილი. რა თქმა უნდა, ეს კუბელი ხალხის საქმეა. თქვენ ახლა არ გაქვთ დიპლომატიური ურთიერთობა, მაგრამ ჩემი ოფიცრები, რომლებიც ახლა კუბაში არიან, მაცნობებენ, რომ ამერიკის თვითმფრინავები დაფრინავენ კუბის ტერიტორიაზე.

ჩვენ დაინტერესებული ვართ, რომ საერთოდ მსოფლიოში არ იყოს ომი და რომ კუბელი ხალხი ცხოვრობდეს მშვიდად. მაგრამ, გარდა ამისა, ბ-ნო პრეზიდენტო, საიდუმლოება არ არის, რომ ჩვენ გვყავს ჩვენი ადამიანები კუბაში. კუბის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულებით ჩვენ გვყავს იქ ოფიცრები, ინსტრუქტორები, რომლებიც ასწავლიან კუბელებს, მეტწილად უბრალო ადამიანებს: სპეციალისტებს, აგრონომებს, ზოოტექნიკოსებს, ირიგატორებს, მელიორატორებს, ჩვეულებრივ მუშებს, ტრაქტორისტებსა და სხვ. ჩვენ ვზრუნავთ მათთვის.

მე გთხოვთ, ბ-ნო პრეზიდენტო, გაითვალისწინეთ, რომ ამერიკის თვითმფრინავების მიერ კუბის საჰაერო სივრცის დარღვევასაც შეიძლება მოჰყვეს საშიში შედეგები. და თუ თქვენ არ გსურთ ეს, მაშინ არ უნდა მისცეთ იმის საბაბი, რომ შეიქმნას საშიში სიტუაცია.

ახლა ჩვენ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ და არ გადავდგათ ისეთი ნაბიჯი, რომელიც ვერ მოუტანს სარგებლობას კონფლიქტში ჩაბმულ სახელმწიფოთა თავდაცვას, არამედ მხოლოდ გამოიწვევს გაღიზიანებას და პროვოკაციაც კი შეიძლება გახდეს საბედისწერო ნაბიჯისათვის. ამიტომ ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ სიფხიზლე, გონიერება და თავი შევიკავოთ ასეთი ნაბიჯებისაგან.

ჩვენ ვაფასებთ მშვიდობას, შესაძლოა, უფრო მეტადაც, ვიდრე სხვა ხალხები, რადგან გადავიტანეთ საშინელი ომი ჰიტლერის წინააღმდეგ. მაგრამ ჩვენი ხალხი არ შედრკება არავითარი განსაცდელის წინაშე, ჩვენი ხალხი ენდობა თავის მთავრობას, ხოლო ჩვენ პირობას ვაძლევთ ჩვენს ხალხსა და მსოფლიო საზოგადოებრიობას, რომ საბჭოთა მთავრობა პროვოკაციის ანკესს არ წამოეგება. მაგრამ თუ პროვოკატორებმა გააჩაღეს ომი, ისინი ვერ გაექცევიან პასუხისმგებლობას და მძიმე შედეგებს, რაც ომს მოჰყვება მათთვის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გაიმარჯვებს გონიერება, ომი არ დაიწყება და უზრუნველყოფილი იქნება ხალხთა მშვიდობა და უშიშროება.

იმასთან დაკავშირებით, რომ ახლა გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელი ბ-ნი ტანი მოლაპარაკებას აწარმოებს საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კუბის რესპუბლიკის წარმომადგენლებთან, საბჭოთა მთავრობამ ნიუ-იორკში გაგზავნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, რათა ხელი შეუწყოს ბ-ნი ტანის კეთილშობილურ მეცადინეობას შექმნილი საშიში მდგომარეობის ლიკვიდაციისათვის.

თქვენი პატივისმცემელი

ნ. ხრუშჩოვი.

1962 წლის 28 ოქტომბერი.

დამთავრდა ი. ვაზოვის სახელობის თეატრის გასტროლები

მოსკოვი, 28 ოქტომბერი. (საკდესი). კრემლის თეატრის სცენაზე სპექტაკლ „ვიტოშის ძირას“ ჩვენებით დღეს დამთავრა გასტროლები საბჭოთა დედაქალაქში სოფიის ივანე ვაზოვის სახელობის ეროვნულმა თეატრმა. ეს მეოთხე სპექტაკლია, რომელსაც გაეცნენ მოსკოველი მაყურებლები. იგი დადგმულია ბულგარეთის პოეზიის კლასიკოსის ბ. კიაფოროვის პიესის მიხედვით.

სპექტაკლი „ვიტოშის ძირას“ ამხილებს ბურჟუაზიულ ზნე-ჩვეულებებსა და მორალს, რაც ტიპიური იყო ბულგარეთისათვის XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში. ამ პიესაში აღწერილია ორი შეყვარებულის — ადვოკატ ხრისტოსა (მსახიობი ლ. კაბაკჩიევი) და მისი საცოლის მილის (მსახიობი ს. სლავოვა) ტრაგედია, რომლებიც ბნელი საქმოსნებისა და ფარისევლების მსხვერპლნი გახდნენ. ამ ოჯახურმა ტრაგედიამ ი. ვაზოვის სახელობის თეატრის მსახიობთა დადგმით მიიღო ღრმა სოციალური ჟღერადობა. სპექტაკლის დამდგმელია ს. სირჩაჯიევი, მხატვარი ა. პოპოვი.

სპექტაკლს დაესწრნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ფ. რ. კოზლოვი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიკოიანი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, ლ. თ. ილიჩოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. ნ. შელეპინი, აგრეთვე სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ა. ფურცევა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ლუბენ ნ. გერასიმოვი მეუღლითურთ.

ი. ვაზოვის სახელობის თეატრის მსახიობებმა მოსკოვსა და ლენინგრადში გამართეს ათზე მეტი სპექტაკლი. ამ სპექტაკლებმა საბჭოთა მაყურებლების მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გაითვალისწინა მეგრელთა სურვილი და დაადგინა — გადატანილ იქნეს დასვენების დღე კვირიდან, 4 ნოემბერიდან, სამშაბათს, 1962 წლის 6 ნოემბერს.

ა. ნ. კოსიგინმა მიიღო სარდარ მუჰამედ ნაიმი

29 ოქტომბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო ავღანეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მისი უმაღლესობა სარდარ მუჰამედ ნაიმი და საუბარი ჰქონდა მასთან, რამაც გულწრფელი მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მედლით „წყალწყალეგულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწყალეგულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ მედლით „წყალწყალეგულთა გადარჩენისათვის“.

1. **ეპიშევი** კონსტანტინე თევდორეს-ძე — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ნაწილის პიროვლადი პატრონრგანიზაციის ბიუროს მდივანი.
2. **ვალიევი** გერასან გრიგოლის-ძე — სადგურ ცხინვალის მილიციის სალიანდაგო საგუშაგოს უფროსი.
3. **რუდნევი** ვიქტორ სერგის-ძე — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ნაწილის ავტომანქანის ტარების ინსტრუქტორი.
4. **შარიქაძე** შოთა თეოფილეს-ძე — ხაშურის სალოკომოტივო დეპოს ელმავლის მემანქანე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ვ. კოწონიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. ბელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1962 წლის 25 ოქტომბერი.

უკანასკნელი ცნობები

ამერიკელ-აზერბაიჯანული კულტურის მოღვაწეთა თბილისში

აზერბაიჯანული ლიტერატურის დიდი კლასიკოსის მირზა ფათალი ახუნდოვის სახელი მახლობელი და ძვირფასია ქართველი ხალხისათვის. 40 წელიწადზე მეტი იცხოვრა საქართველოში მოძმე ხალხის ამ დიდმა შვილმა, აქ შექმნა მან თავისი პიესები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს აზერბაიჯანულ ეროვნულ დრამატურგიას, აქ დაწერა შესანიშნავი ფილოსოფიური წერილები.

სწორედ ამიტომ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ამ დღეებში ჯეროვან პატივს სცემენ გამოჩენილი აზერბაიჯანელი მწერლისა და მოაზროვნის ხსოვნას. მირზა ფათალი ახუნდოვის დაბადების 150-ე წლისთავს, რომელიც მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით აღინიშნება, საქართველოს საზოგადოებრიობა ბევრ საინტერესო ღონისძიებას უძღვნის.

გუშინ, 29 ოქტომბერს, საიუბილეო ზეიმში მონაწილეობისათვის ბაქოდან თბილისს ჩამოვიდა აზერბაიჯანის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე რ. სადიხოვი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან — აზერბაიჯანის სახალხო პოეტი რასულ რზა, აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი კომპოზიტორი ფიქრე ამიროვი, აზერბაიჯანის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე თაირ სალახოვი, აზერბაიჯანის სახალხო მხატვარი ნადირ ადდურაქმანოვი, პოეტები ოსმან სარიველი, სამველ გრიგორიანი, იუსეფ ორატოვსკი და სხვები.

სტუმრებს შეხვდნენ — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. კვაჭაძე, რესპუბლიკის კულტურის მინისტრი თ. ბუაჩიძე, რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ს. ჭილაია, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

საზეიმო კონცერტში მონაწილეობისათვის თბილისს ჩამოვა აგრეთვე აზერბაიჯანის ხელოვნების ოსტატთა დიდი ჯგუფი.

(საქდესი).

სამშობლოს გელლებში

ბაკურიანი, (საკდესი). ზღვისპირეთის ძმათა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მარცვლეული კულტურების უხვი მოსავალი მოიწიეს, წარმატებით განახორციელეს მოსავლის აღება და ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის გეგმა, გარდა ბრინჯის და წიწიბურასი, სულ გაყიდულია 3,2 მილიონი ფუთი — 70 ათასი ფუთით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვა გრძელდება. დიდი ოქტომბრის 45-ე წლისთავისთვის დამატებით მიჰყიდიან სულ ცოტა 130 ფუთ ბრინჯს. ძმათა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მთლიანად მოიმარაგეს მარცვლეული კულტურების თესლი 1963 წლისათვის.

მთელი მსოფლიო მიესალმება საბჭოთა მთავრობის მაღალჰუმანურ გადაწყვეტილებას

ჯ. კენედის წერილი ნ. ს. ხრუშჩოვისადმი

ვაშინგტონი, 29 ოქტომბერი. (საკდესი). 28 ოქტომბრის საღამოს თეთრმა სახლმა გამოაქვეყნა შემდეგი ტექსტი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კენედის წერილისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისადმი:

„პატივცემულო ბ-ნო თავმჯდომარე! დაუყოვნებლივ გიპასუხებთ თქვენს 28 ოქტომბრის წერილზე, რომელიც რადიოთი გადმოიცა, თუმცა ჯერ კიდევ არ მომიღია ოფიციალური ტექსტი, რადგანაც უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ იმას, რომ სწრაფად ვიმოქმედოთ კუბის კრიზისის გადაჭრის მიზნით.

ვფიქრობ, რომ თქვენც და მეც იმ უდიდესი პასუხისმგებლობის პირობებში, რომელიც გვეკისრება მშვიდობის დაცვისათვის, შეგნებული გვქონდა, რომ მოვლენები უახლოვდებოდა ისეთ მდგომარეობას, როცა მათი კონტროლი შეუძლებელი იქნებოდა.

ამიტომ მიეესალმები თქვენს წერილს და მომაჩნია იგი დიდმნიშვნელოვან წვლილად მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში.

გენერალური მდგომარეობის მოგვალეობის შემსრულებლის უ ტანის სანაქებო ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად გააადვილეს თქვენი და ჩემი ამოცანა. ჩემი 27 ოქტომბრის წერილი თქვენდამი და თქვენი დღევანდელი პასუხი მიმაჩნია ორივე ჩვენი მთავრობის მტკიცე ვალდებულებებად, რომლებიც სწრაფად უნდა განხორციელდეს.

ვიმედოვნებ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეშვეობით შესაძლებელი გახდება დაუყოვნებლივ განხორციელდეს საჭირო ღონისძიებანი, როგორც ნათქვამია თქვენს წერილში, რათა შეერთებულ შტატებს თავის მხრივ შეეძლოთ გააუქმონ კარანტინის ღონისძიებანი, რომლებიც ამჟამად ხორციელდება. მე უკვე გავეცი განკარგულება, რომ ყველა ამ საკითხის შესახებ მოხსენდეს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციას, რომლის წევრები დიდად არიან დაინტერესებული ჰემშარტი მშვიდობით კარიბის რაიონში.

თქვენს წერილში თქვენ იხსენიებთ იმ ფაქტს, რომ ამერიკის თვითმფრინავმა დაარღვია თქვენი საზღვრები ჩუკოტკის ნახევარკუნძულის რაიონში. ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ეს თვითმფრინავი, რომელსაც არ ჰქონდა არც შეიარაღება, არც აპარატური ფოტოგადაღებისათვის, ჰაერის სინჯს იღებდა თქვენი ატომური იარაღის გამოცდებთან დაკავშირებით. მისი კურსი ალიასკაზე მდებარე ეილსონის სამხედრო-საჰაერო ბაზიდან პირდაპირ გადიოდა ჩრდილოეთ პოლუსისაკენ და უკან. სამხრეთისაკენ მობრუნების დროს მფრინავმა დაუშვა სერიოზული სანავიგაციო შეცდომა, რის შედეგადაც იგი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე აღმოჩნდა. მან ღია რადიოთი დაუყოვნებლივ მოითხოვა სასწრაფო სანავიგაციო დახმარება და იგი უმოკლესი გზით გაიგზავნა თავდაპირველ ბაზაში. ვწუხვარ ამ ინციდენტის გამო და ვიზრუნებ იმისათვის, რომ განხორციელდეს სიფრთხილის ყველა ღონისძიება, რათა თავიდან ავიცილოთ მისი განმეორება.

ბ-ნო თავმჯდომარე! ორივე ჩვენი ქვეყნის წინაშე დასაბუთია დიდმნიშვნელოვანი ამოცანები, რომლებიც უნდა გადაიჭრას, და მე ვიცი, რომ თქვენს ხალხს, ისევე როგორც შეერთებული შტატების ხალხს სხვა არა სურს რა, თუ არა განაგრძოს ამ ამოცანების შესრულება, ისე რომ არ ეშინოდეს ომისა. თანამედროვე მეცნიერებამ და ტექნიკამ მოგვცა შესაძლებლობა გადავაქციოთ შრომა ისე ნაყოფიერი, რაზეც სულ ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ ოცნებაც არ შეიძლებოდა.

მე გეთანხმებით, რომ სასწრაფოდ უნდა მოვკიდოთ ხელი განიარაღების პრობლემას მსოფლიო ასპეკტით, აგრეთვე კრიზისული რაიონების ასპექტით.

შესაძლოა, ამჟამად, როცა თავიდან ვიცილებთ საფრთხეს, ჩვენ შეგვიძლია ერთად მივაღწიოთ რეალურ პროგრესს ამ საარსებო დიდმნიშვნელოვან დარგში. ვფიქრობ, რომ ჩვენ უნდა მივანიჭოთ პრიორიტეტი დედამიწაზე და კოსმოსურ სივრცეში ატომური იარაღის გავრცელებასთან დაკავშირებულ საკითხებს, აგრეთვე ენერგიულ ცდებს, რათა მივაღწიოთ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვას. მაგრამ ჩვენ აგრეთვე დიდი ღონისძიებანი უნდა განვახორციელოთ იმისათვის, რომ შევეცადოთ გამოვარკვიოთ, შესაძლებელია თუ არა შეთანხმების მიღწევა განიარაღების უფრო ფართო ღონისძიებათა და მათი სწრაფი განხორციელების შესახებ. - შეერთებული შტატების მთავრობა მზად იქნება სასწრაფოდ და კონსტრუქციული სულისკვეთებით განიხილოს ეს საკითხები ჟენევაში ან რომელიმე სხვა ადგილას.

ჯონ ფ. კენედი.

1962 წლის 28 ოქტომბერი".

ჯ. კენედის განცხადება

ვაშინგტონი, 28 ოქტომბერი. (საკდესი). თეთრმა სახლმა გამოაცხადა, რომ პრეზიდენტი კენედი მიესალმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებას.

ქვემოთ მოგვყავს ტექსტი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კენედის განცხადებისა, რომელიც თეთრმა სახლმა გამოაქვეყნა:

„მივესალმები თავმჯდომარე ხრუშჩოვის სახელმწიფოებრივ ბრძნულ გადაწყვეტილებას შეაჩეროს ბაზების მშენებლობა კუბაში, მოახდინოს შეტევითი იარაღის დემონტაჟი და დააბრუნოს იგი საბჭოთა კავშირში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეობით. ეს დიდმნიშვნელოვანი და კონსტრუქციული წვლილია მშვიდობის საქმეში.

ჩვენ გვაქვნება კონტაქტები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან ურთიერთი ღონისძიებების საკითხზე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის კარიბის ზღვის ზონაში.

გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ მთელი მსოფლიოს ქვეყნების მთავრობებს კუბის კრიზისის მოწესრიგების შემდეგ შეუძლიათ სერიოზული უურადღება მიაქცინონ იმას, რომ უაღრესად საჭიროა შეწყდეს გამალებული შეიარაღება და შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა. ეს ეხება როგორც იმას, რომ ვარშავის პაქტისა და ნატოს ქვეყნები ერთმანეთს უპირისპირდებიან სამხედრო საქმეში, ისე აგრეთვე სხვა სიტუაციებს დედამიწის სხვა ნაწილებში. სადაც დაძაბულობა იწვევს რესურსების უნაყოფო გამოყენებას ომის იარაღის შექმნისათვის".

ფიდელ კასტროს წინადადებანი

ჰავანა, 29 ოქტომბერი. (საკდესი). პრენსა ლატინას სააგენტო იუწყება:

კუბის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ გამოსაქვეყნებლად გადასცა შემდეგი განცხადება:

შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯონ ფ. კენედის წინადადებასთან დაკავშირებით, რასაც შეიცავს მისი წერილი საბჭოთა კავშირის პრემიერ-მინისტრის ნიკიტა ხრუშჩოვისადმი, იმის შესახებ, რომ შეერთებული შტატები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეშვეობით სათანადო მოწესრიგების შემდეგ დათანხმდებიან შეწყვიტონ ბლოკადა და პირობა დადონ, რომ არ მოახდენენ შეჭრას კუბაში, და პრემიერ-მინისტრის ნ. ხრუშჩოვის მიერ გამოცხადებულ იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომ კუბის ტერიტორიიდან გაიტანონ სტრატეგიული თავდაცვის იარაღის დანადგარები, კუბის რევოლუციური მთავრობა აცხადებს, რომ კუბის წინააღმდეგ აგრესიის შეწყვეტის გარანტიები, რომელზეც პრეზიდენტი კენედი ლაპარაკობს, არ გვექნება, თუ საზღვაო ბლოკადის შეწყვეტის გარდა, რასაც იგი აღგვითქვამს, სხვა ღონისძიებებთან ერთად არ განხორციელდება შემდეგი ღონისძიებანი:

პირველი — შეწყვიტონ ეკონომიური ბლოკადა და იმ ეკონომიურ და სავაჭრო ზეგავლენის ყველა ღონისძიება, რომლებსაც ახორციელებენ შეერთებული შტატები მთელ მსოფლიოში ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ.

მეორე — შეწყვიტონ ყოველგვარი ძირგამომთხრელი საქმიანობა, იარაღისა და ასაფეთქებელ ნივთიერებათა გაგზავნა და გადმოტვირთვა პაერითა და ზღვით, დაქირავებულთა შემოჭრის მოწყობა, ჯაშუშებისა და მესაბოტაჟეთა შემობარვა, ე. ი. ყველა ის მოქმედება, რომლებიც ხორციელდება შეერთებული შტატებისა და ზოგიერთი თანამონაწილე ქვეყნის ტერიტორიიდან.

მესამე — შეწყვიტონ მეკობრული თავდასხმები შეერთებულ შტატებსა და პუერტო-რიკოში განლაგებული ბაზებიდან.

მეოთხე — შეწყვიტონ ჩრდილოეთ ამერიკის სამხედრო თვითმფრინავებისა და გემების ყოველგვარი შემოჭრა ჩვენს საჰაერო სივრცესა და ტერიტორიულ წყლებში.

მეხუთე — მოახდინონ გუანტანამოს სამხედრო საზღვაო ბაზის ევაკუაცია და დაუბრუნონ კუბას შეერთებული შტატების მიერ ოკუპირებული ტერიტორია.

სამშობლო ან სიკვდილი!

ჩვენ გავიმარჯვებთ!

ფიდელ კასტრო რუსი,

კუბის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი.

ჰავანა, 28 ოქტომბერი.

მუვენიერი ახალი ამბები

ნიუ-იორკი, 28 ოქტომბერი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის უკანასკნელმა წერილმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კენედისადმი უმაღლეს დაძაბულობა მთავარი ადგილი ამერიკის საინფორმაციო სააგენტოების ცნობებსა და რადიოსა და ტელევიზიის გადაცემებში.

ასოშიეიტედ პრესისა და იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოებმა ნიშნით „ელვა" გადასცეს საბჭოთა მთავრობის მეთაურის წერილის შინაარსი და გარდა ამისა გადასცემენ მის სრულ ტექსტს შეერთებული შტატების ყველა გაზეთისათვის.

ლონდონი, 29 ოქტომბერი. (საკდესი). „მშვიდობი ახალი ამბავი" — ასე დაახასიათა გუშინ საღამოს ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა გეიტსკელმა ის ცნობა, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა წერილი გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს კენედის. გეიტსკელმა იმედი გამოთქვა, რომ მიღწეულ იქნება საყოველთაო განიარაღება.

„მთელმა მსოფლიომ თავისუფლად უნდა ამოისუნთქოს, როცა შეიტყობს ბ-ნ ხრუშჩოვის წერილის ამბავს", — განაცხადა ლიბერალური პარტიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მ. კარტერმა.

ნიუ-იორკი, 29 ოქტომბერი. (საკდესი). ბრაზილიის პრემიერ-მინისტრმა ერნეს ლიმამ განაცხადა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის კენედისადმი, რომელიც 28 ოქტომბერს გაუგზავნა, ეს „ყველაზე დიდი ხნის ნანატრი და სასიხარულო ცნობაა მთელი მსოფლიოსათვის".

მოკლე განცხადებაში ბრაზილიის პრემიერ-მინისტრმა თქვა, როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი რიო-დე-ჟანეიროდან იუწყება, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაურის წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისადმი „ბოლოს ულებს კუბის კრიზისს, იცავს მშვიდობას მთელ მსოფლიოში და უზრუნველყოფს კუბის ტერიტორიულ მთლიანობას".

ბონი, 28 ოქტომბერი. დასავლეთ გერმანიის დპას სააგენტომ ნიშნით „ელვა" დაიწყო ნ. ს. ხრუშჩოვის წერილის შინაარსის გადაცემა უკვე ათი წუთის შემდეგ, რაც მოსკოვის რადიოს დიქტორმა წაიკითხა წერილის პირველი სიტყვები. ხრუშჩოვი ხაზგასმით აღნიშნავს, ნათქვამია სააგენტოს ცნობაში, რომ ხალხთა მშვიდობა და უშიშროება შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს. საბჭოთა მთავრობის მეთაური მოგვიწოდებს ვიმოქმედოთ გონივრულად და თავიდან ავიცილოთ ყოველივე, რაც გაამწვავებს მდგომარეობას.

უ ტანის მოგზავალი

გამგზავრება ჰავანაში

ნიუ-იორკი, 29 ოქტომბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელს უ ტანს განხორციელებული აქვს გაემგზავროს ჰავანას სამშაბათს, 30 ოქტომბერს, — განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელმა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელის უ ტანის 28 ოქტომბრის წერილში კუბის პრემიერ-მინისტრის ფიდელ კასტროსადმი გამოხატულია უ ტანის კმაყოფილება იმის გამო, რომ კუბის რევოლუციური მთავრობა მზად არის მიიღოს წინადადება, რომელიც მან გააკეთა „მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით,

რეფერენდუმი საფრანგეთში

პარიზი, 29 ოქტომბერი. (საკდესი). საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა როჟე ფრემ გამოაქვეყნა არაოფიციალური მონაცემები კონსტიტუციის რეფორმის საკითხზე რეფერენდუმის შედეგების შესახებ მეტროპოლიაში. კენჭისყრის სიებში შეტანილია 27.579.000 ამომრჩეველიდან, რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 21.306.000 კაცმა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამომრჩეველთა 22,75 პროცენტმა თავი შეიკავა რეფერენდუმში მონაწილეობისაგან.

კანონიერად ცნობილია 20.740.000 ბიულეტენი. 12.808.000 ამომრჩეველმა (რეფერენდუმში მონაწილეთა რიცხვის 61,75 პროცენტმა) ხმა მისცა მთავრობის კანონპროექტის დამტკიცებას, 7.932.000 (შესაბამისად 38,25 პროცენტმა) ყოთებში ჩაუშვა ბიულეტენები წარწერით: „ეუთარყობ", დამო რა ამით რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავს პირადი ხელისუფლების შემდგომ გაძლიერებასა და დემოკრატიის ჩახშობას საფრანგეთში.

ბერტრან რასელის დეპეშა

ლონდონი, 29 ოქტომბერი. (საკდესი). ბერტრან რასელმა 28 ოქტომბერს საღამოს დეპეშა გაუგზავნა ნ. ს. ხრუშჩოვს, როგორც რასელის მდივანმა განაცხადა, ამ დეპეშაში ნათქვამია:

„პატივცემულო ბ-ნო ხრუშჩოვ,

მინდა გაგიზიაროთ ჩემი პირადი მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორ მოაწესრიგეთ თქვენ კუბის კრიზისი. დღემდე არ ვცნობ ისეთ საჯელმწიფო მოღვაწეს, რომელიც მოქმედებდეს ასეთი სულგრძელობითა და ასეთი სიდიადით, როგორიც თქვენ გამოიჩინეთ კუბის საკითხში. მინდა, იცოდეთ, რომ ყოველი გულწრფელი და პატიოსანი ადამიანი ჯეროვნად აფასებს თქვენს მამაცობას.

დიდი პატივისცემით ბერტრან რასელი".

ქართული კულტურის მუშაკები



კოტე მარჯანიშვილის დაბადების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო

ქართული საბჭოთა თეატრის ფუძემდებლის კოტე მარჯანიშვილისადმი, თეატრალური ხელოვნების ამ დიდი ოსტატისადმი გულმხურვალე მადლობისა და პატივისცემის სიტყვები გაისმოდა 29 ოქტომბერს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დარბაზში კოტე მარჯანიშვილის დაბადების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე.

...ნელა გაიხსნა ფარდა. პროეექტორის შუქმა განათა კოტე მარჯანიშვილის უზარმაზარი პორტრეტი და თარიღი „90". დარბაზში გაისმა დიქტორის ხმა:

— კოტე მარჯანიშვილს უყვარდა ზეიმი თეატრში. მას სურდა, რომ თეატრი ყოფილიყო მართალი, რომ ყოველ მის ნაწარმოებს გამოეწვია იღფრთოვანება ცხოველმყოფელი ძალით. დიდი დღესასწაული დაგვიდგა ამ საღამოსაც. სამშობლო ზეიმს უსდის საყვარელ შვილს.

მაძლავრად გუგუნებს კახური „მრავალჟამიერი" — სიმღერა, რომელიც გახადიდებს ადამიანს. ამ დროს კი უზარმაზარ ეკრანზე განუწყვეტელი იცვლება კოტე მარჯანიშვილის სილუეტები. გაისმის სიტყვები, რომლებიც განადიდებენ მის ხიბს, თეატრის, ხელოვნების, მშრომელი ხალხის სიყვარულს. რესპუბლიკის სახალხო არტისტის უშანგი ჩხეიძის, პოეტების პაოლო იამბოლის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ნესტორ მალაზონიას, სახალხო მთქმელის ილო ბერიშვილის ლექსები წაიკითხეს მსახიობებმა ლ. ჭავჭავაძემ, გ. სალარაძემ, ა. გომიაშვილმა, ტ. საყვარელიძემ, ი. ტრიპოლსკიმ.

დაიწყო საღამოს საზეიმო ნაწილი, რომელიც გახსნა რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა თ. ბუაჩიძემ, კოტე მარჯანიშვილი, თქვა მან, დიდი რეჟისორი იყო, რომლის შემოქმედება მთელი ეპოქა რუსული და ქართული თეატრის ისტორიაში. მისი სახელი წარმოითქმის ისეთი დიდი რეჟისორების სახელთა გვერდით, როგორიც არიან სტანისლავსკი, ნემიროვიჩ-დანჩენკო, მეიერხოლდი, ვახტანგოვი.

მარჯანიშვილის ტალანტი ეარსკვლავს მოგვაგონებს, რომელიც თავის სხივებს მაშინაც კი გზავნის დედამიწაზე, როცა ქრება. იგი დღესაც კაშკაშა ბრწყინვით აშუქებს ჩვენი თეატრის სცენას. მისი მრავალი მოწაფე დღესაც მიმართავს თავისი მასწავლებლის შემოქმედებას, პოულობს მასში ძალასა და შთაგონებას.

სიტყვა მოხსენებისათვის კოტე მარჯანიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მეცნ. დოქტორ ვ. ციციშვილს. მან შეაჯამა ხელოვნების ეროვნულ სიყვარულმა 22 წლის ბიჭისა კოტე - მარჯანიშვილი თეატრი ოდესაში, ... — ... ტი და ამბაბადი, კიევი და ნარკოვი, ოდესა და კურსკი, ჭერჩი და ორეოლი, მოსკოვი და პეტროგრადი — სად არ მიმდინარეობდა დაუცხრომელი და მაძიებელი მსახიობისა და რეჟისორის შემოქმედება! სწორედ ამ თავდადებულმა შრომამ, ოჯახეულებრივმა ტალანტმა მოუხვეჭეს მას სცენის დიდი ოსტატის სახელი.

მალე ოცდაათი წელიწადი სრულდება იმ დღიდან, რაც შეწყდა მარჯანიშვილის გულის ძგერა. მაგრამ მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა უკვდავია. იგი მუდამ ჩვენთანაა. იგი ჩვენთან იყო ქართული ხელოვნების დეკადაზე მოსკოვში, იგი რუსთაველის თეატრთან იყო, გასტროლებზე მოსკოვსა და კიევში. იგი მისივე სახელობის თეატრთან იყო გასტროლების დროს მოსკოვსა და რიგაში. და ორივე ამ მოწიფავე კოლექტივის, ისევე როგორც მთელი ქართული თეატრალური ხელოვნების ყოველი გამარჯვება განუყრელად დაკავშირებულია მარჯანიშვილის სახელთან, გასხივოსნებულია მისი გენიის ნათელით.

შეკრებილნი ტაშით შეხვდნენ ცნობას, რომ საღამოს ესწრება კოტე მარჯანიშვილის ვაჟი — თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი კონსტანტინე მარჯანიშვილი.

სიტყვა წარმოთქვა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა ა. ფეივრასკიმ. კოტე მარჯანიშვილის მთელი შემოქმედება, თქვა მან, ორი ეროვნული კულტურის ჭეშმარიტი ძმური თანამშრომლობის ბრწყინვალე მაგალითია. ქართველი ხალხის შესანიშნავმა შვილმა თქვა: „მადლობა დიდ რუსეთს იმისათვის, რაც მომცა". დღეს კი ჩვენ აქ ვამბობთ: მადლობა დიდ მხატვარს მარჯანიშვილს ყველაფრისათვის, რაც მან მისცა ქართულ და რუსულ ხელოვნებას.

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა ვ. ხოროლმა მიმართა შეკრებილთ და თქვა: ნება მიბოძეთ უკრაინის თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის, უკრაინული კულტურის ყველა მოღვაწის სახელით გულთბილად მოგესალმოთ თეატრის ოსტატებსა და მთელ ქართველ ხალხს საბჭოთა სცენის ერთ-ერთი უმეცნიერესი ოსტატის დაბადების დღეს. უკრაინის საზოგადოებრიობა გულით ატარებს კოტე მარჯანიშვილის მხურვალე სიყვარულს.

სომხეთის კულტურის მოღვაწეთა სახელით გამოვიდა სომხეთის სსრ სახალხო არტისტი, პროფესორი ვ. ვართანიანი. ჩემი რესპუბლიკის კულტურის მუშაკთა მთელი მრავალათასიანი არმია, თქვა მან, დღეს თავისი პატივისცემის გრძნობებს უერთებს მომძე ქართველი ხალხის შესანიშნავი შვილის სიყვარულს.

კოტე მარჯანიშვილი, თქვა ლატვიის თეატრალური საზოგადოების წარმომადგენელმა ვ. ფრეიმანმა. რიგაში მუშაობდა, რუსულ თეატრში. მაგრამ მისი ხელოვნება იმდენად პოპულარული იყო, რომ მის სპექტაკლებზე ისინიც დადიოდნენ ვისაც რუსული ენაც კი არ ესმოდა. იგი იყო არა მარტო ხელოვნების დიდი ოსტატი, არამედ დიდი მოქალაქეც.

საზეიმო ნაწილი დამთავრდა.

შემდეგ უჩვენეს სცენები კოტე მარჯანიშვილის მიერ დადგმული სპექტაკლებიდან „ცხვრის წყაორო", „ურიელ აკოსტა", „ჰამლეტი".

დიდი სიყვარულით ილაპარაკეს კოტე მარჯანიშვილის შესახებ ადამიანებმა, რომლებიც მას ხედებოდნენ, მასთან მუშაობდნენ, — საქართველოს სახალხო მხატვარმა ლადო გუდიაშვილმა, მოსკოველმა რეჟისორმა და თეატრმცოდნემ გ. კრეიციკიმ. რუსმა თეატრმცოდნემ ა. კოსტროვმა. დამსწრეთ საინტერესო მოგონება გაუზიარა პროფესორმა კონსტანტინე მარჯანიშვილმა.

საღამოზე უჩვენეს აგრეთვე ნაწყვეტები რუსთაველის სახელობისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრების საუკეთესო დადგმებიდან.

* * *

საიუბილეო საღამოს დაესწრნენ ამხანაგები ვ. პ. მეჟავანაძე, ვ. დ. ჯავახიშვილი, პ. ვ. კოვანოვი, დ. გ. სტურუა, ვ. მ. სირაძე, ზ. მ. ლელაშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, შ. ი. ჭანუყვაძე, ო. ე. ჩერქეზიანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. ა. კვეჭაძე, აგრეთვე აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე რ. ნ. სადიხოვი. (საქდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ

გავუფრთხილდეთ საკოლმეურნეო კაპიკს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილეს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, საფინანსო დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ 1962 წლის პირველ ნახევარში კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი გადიდდა 5.8 მილიონი მანეთით გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

ამასთანავე, მეცხოველეობის შემოსავალი შემცირდა 162 ათასი მანეთით, ხოლო საერთო სამეურნეო და ადმინისტრაციული ხარჯები გადიდდა 247 ათასი მანეთით. შემცირდა კოლმეურნეობების გადახდისუნარიანობა. ვალი და გადასახადები გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით გადიდდა 9 მილიონი მანეთით და მეტად. მძიმე ფინანსური მდგომარეობა აქვთ გორის, ახალციხის, გურჯაანის, ცხაკაიას, სამტრედიის, ზესტაფონისა და ზოგიერთი სხვა ტერიტორიული სამმართველოების კოლმეურნეობებს, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებს.

კოლმეურნეობათა მძიმე ფინანსური მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზია დიდი დებიტორული დავალიანება, რომლის დასაფარავად ტერიტორიული საწარმო სამმართველოები, კოლმეურნეობათა გამგეობები არ იღებენ გადამწყვეტ ღონისძიებებს. 1962 წლის 1 ივლისისათვის კოლმეურნეობათა დებიტორული დავალიანება შეადგენდა 21.7 მილიონ მანეთს, ნაცვლად 19.9 მილიონი მანეთისა გასული წლის ამავე თარიღისათვის. კიდევ უფრო ცუდია ფინანსური მეურნეობის მდგომარეობა საკოლმეურნეობათშორისო ორგანიზაციებში, რომლებშიც არის მეტი კოლმეურნეობების კუთვნილი იმ სახსრების განიავების, დატაცებისა და მითვისების შემთხვევები.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგები და სოფლკომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები, ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები და კოლმეურნეობათა გამგეობები ჯეროვან უურადღებას არ უთმობენ კოლმეურნეობებში ფინანსური დისციპლინის განმტკიცებას, კოლმეურნეებთან ანგარიშსწორების მოწესრიგებას, შრომით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების ამაღლებას, კოლმეურნეობათა სახსრების სწორ გამოყენებასა და შრომადღეების ეკონომიურ ხარჯვას.

მიმდინარე წლის 1 ივლისისათვის კოლმეურნეებს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული გასული წლის შრომადღეების ანაზღაურებლად 2.676 ათასი მანეთი.

არის მთელი რიგი სხვა დარღვევებიც სახელმწიფო ბანკის . განყოფილებათა კაპიტალდაბანდების ანგარიშზე კოლმეურნეობათა ნაწილს შეტანილი არა აქვს 5,6 მილიონი მანეთი, მაშინ, როცა კოლმეურნეობათა მეორე ნაწილმა გადახარჯა კაპიტალდაბანდების სახსრები 7,8 მილიონი მანეთის რაოდენობით.

გურჯაანის, ზუგდიდის, ცხინვალისა და გორის რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში გამოვლინებულია ფულადი სახსრების უეარმათო ხარჯვის, შრომადღეების განიავების ფაქტები. არის შემთხვევები, როცა ფიზიკური შრომისაგან განთავისუფლებულ მუშაკთა შენახვაზე იხარჯება მნიშვნელოვანი სახსრები, რომლებიც განკუთვნილია კოლმეურნეთა შრომადღეების ანაზღაურებისათვის. ასეთი მდგომარეობა იმით არის გამოწვეული, რომ გვყავს ფიზიკური შრომისაგან განთავისუფლებული პირსონალის განაკვეთები, ბერილი შტატები. კოლმეურნეობებში დიდი დებიტორული დავალიანების შექმნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, როგორც აღნიშნულია დადგენილებაში, ის არის, რომ სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციისა ფასონურად იღების კოლმეურნეობებისაგან სახსრებს, როგორც ავანსს მომავალი მომსახურებისათვის, და დროზე არ ხდება ანგარიშსწორება გაუღებული პროდუქციისათვის.

ბევრი კოლმეურნეობის გამგეობა უხეშად არღვევს, საერთო კრების მიერ დამტკიცებულ შემოსავალ-ჯახალების ხარჯთაღრიცხვებს, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები საერთო კრების ნებადაურთველად ეწევიან ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელ ხარჯებს, ავიწყებთ, რომ საზოგადოებრივი საშუალებანი ეკუთვნის მხოლოდ კოლმეურნეობას და მათი განმკარგულებელია კოლმეურნეთა საერთო კრება და არა კოლმეურნეობის თავმჯდომარე. ასეთი შემთხვევები მოხდა ზუგდიდის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში.

კოლმეურნეობებში, რომლებიც გადავიდნენ შრომის ყოველთვიურ გარანტირებულ ფულადს ანაზღაურებაზე, ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტებისათვის დაწესებულია შრომის გადიდებული ანაზღაურება.

ამავე რაიონის სოფლების კორცელის, ჭაკვინჯის და ოჩოხოკიძის კოლმეურნეობებში შემოღებულია კოლმეურნეობის საწინააღმდეგო პრაქტიკა, როცა კოლმეურნეობის კოლმეურნეების მაგივრად შეიკვეთ სასოფელ-სამეურნეო გადასახადი. არასწორი პრაქტიკა, როცა კოლმეურნეობის ხარჯზე იხდიან კოლმეურნეობის და სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ, აგრეთვე მუშების მიერ გამოყენებული ელექტროენერგიის საფასურს, იყო ბორის რაიონის სოფელ ტიბრძნისის კოლმეურნეობაში და რადიოსატრანსლაციო ქსელის გამოყენების საფასურს — ამავე რაიონის სოფელ მეჯვრისხევის კოლმეურნეობაში.

ასეთი ფაქტები გამოვლინდა აგრეთვე ცხინვალის, ზნაურისა და სხვა რაიონების ცალკეულ კოლმეურნეობებში. ფინანსური მეურნეობის არასწორი წარმოებისა და სახსრების ხარჯვაში დარღვევათა ფაქტები იმის შედეგია, რომ უხეშად არღვევენ საკოლმეურნეო დემოკრატიას, უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან საკოლმეურნეო საშუალებებს, რომლებიც შექმნილია კოლმეურნეთა საზოგადოებრივი შრომით. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები, ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოთა ხელმძღვანელი მუშაკები და სპეციალისტები აქტიურად არ ებრძვიან ამ მოვლენათა წინააღმდეგ, უკავიათ ჩაურევლობის პოზიცია, ურიგდებიან საკოლმეურნეო კონნების გაწიავების ფაქტებს, დამნაშავენი კი დაუსჯელი რჩებიან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, პარტიის სოფლკომ კომიტეტს, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სოფლკომკომიტეტების პარტორგებს, კოლმეურნეობებისა და სხვებისა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოთა უფროსებს შეამოწმონ ყველა კოლმეურნეობაში ფინანსური მეურნეობის მდგომარეობა, განახორციელონ ღონისძიებანი წესრიგის დასამყარებლად ფულადი სახსრებისა და მატერიალური რესურსების ხარჯვაში, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ პრაქტიკა, როცა კოლმეურნეობათა სახსრები იხარჯება საერთო კრებების მიერ დამტკიცებული ნებართვის გარეშე, თანმიმდევრულად ებრძოლონ ხარჯთაღრიცხვათა გადამეტ

ქმოკის ქოქდერალი

მწერლის უკვდავება

როდესაც დავით გურამიშვილისა და ბესიკის საფლავები აღმოაჩინეს, ქართველმა საზოგადოებამ ერთგვარი შვება იგრძნო. ეს იყო ეალმოხდილი თაობის კმაყოფილება ადამთა სიავით გატანჯულ წინაპართა წინაშე. ის ორჯერ ოთხი ადლი მიწა კი რუმინელი და ქართველი, უკრაინელი და ქართველი ხალხების ძმობის სიმბოლოდ იქცა. ქართულ მიწასაც აფენია ეს წმიდა მადლი. ლესია უკრაინკა, მ. ფ. ახუნდოვი, ოვანეს თუმანიანი, საიათნოვა — ჩვენთან ცხოვრობდნენ, აზროვნებდნენ, წერდნენ, მდეროდნენ და ამით გაქქონდათ ფართო კულტურული და ძმობის კვალი ჩვენი ხალხების ურთიერთობის ხან ყამირსა და ხანაც ნარბილში.

მთელი მსოფლიოს მოწინავე საზოგადოება ფართოდ აღნიშნავს დიდი აზერბაიჯანელი მწერლის, საზოგადო მოღვაწის, განმანათლებლისა და ფილოსოფოს-მატერიალისტის მ. ფ. ახუნდოვის დაბადების 150 წლისთავს. მ. ფ. ახუნდოვმა თავისი ორმოცი წლის საელიტერატურო-საზოგადოებრივი მოღვაწეობით აზერბაიჯანელ ხალხს ისეთივე დიდი სულიერი საზრდო მისცა, როგორც ჩვენ — ილია ჭავჭავაძემ. მირზა ფათალი ახუნდოვი იყო აზერბაიჯანული მწერლობის რეალისტური სკოლის, თანამედროვე დრამატურგიის, ახალი პროზის, კრიტიკის, პუბლიცისტიკის, ლიტერატურათმცოდნეობისა და მატერიალისტური ფილოსოფიის ფუძემდებელი. თბილისი იყო მისი მეორე სამშობლო. აქ ჩამოყალიბდა მისი მსოფლმხედველობა, მხატვრული ნიჭი, აქ ჰპოვა მან ფართო სარბიელი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის.

მ. ფ. ახუნდოვი აზერბაიჯანიდან თბილისში ჩამოვიდა 1834 წელს და როგორც აღმოსავლური ენების — არაბულის, სპარსულის, აზერბაიჯანულისა და თურქულის საუცხოო მცოდნე, კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიაში მოეწყო თარჯიმნად. ამ დროისათვის თბილისი წარმოადგენდა მთელი ამიერკავკასიის კულტურულ-ეკონომიურ ცენტრს. აქ მ. ფ. ახუნდოვი გაეცნო ქართველი ინტელიგენციის ბევრ წარმომადგენელს.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია მ. ფ. ახუნდოვისა და გიორგი ერისთავის ურთიერთობა.

50-იან წლებში იწერება გიორგი ერისთავისა და მ. ფ. ახუნდოვის კომედიები. გაისმის ორივე დრამატურგის გესლიანი სიცილი, მიმართული ძველისა და დრომოგმულის წინააღმდეგ. ორივე დრამატურგის კომედიებში გადმოცემულია ახლად შემოტრილი კაპიტალიზმის შედეგად წარმომობილი სოციალური რღვევა და მის პროცესში აშლილი ტკივილები, ძველის განწირული, მაგრამ კვლავ წინააღმდეგობით აღსავსე გზა, ახლის გაუმართავი, მაგრამ პერსპექტიული ნაბიჯები.

ა ხ უ ნ დ ო ვ ი იყო ვოროონცოვის დროის მწერალი. ერთ დროს გამოვიდა სამწერლო სარბიელზე ჩვენს გიორგი ერისთავთან და დიდი ნიჭიც გამოიჩინა. მის ნაწერებში ისე ნათლად მოჩანს თათრების (აზერბაიჯანელების—რედ.) ცხოვრება, როგორც სარკეში... ახუნდოვის პიესები ნიჭიერად არის დაწერილი...

აკაკი წერეთელი. 1889 წელი.

მ ი რ ზ ა ფ ა თ ა ლ ი ახუნდოვი მსოფლიოს მოქალაქე იყო, რომელიც სიამაყის გრძნობით აღავსებს არამარტო აზერბაიჯანელი ხალხის, არამედ მთელი აღმოსავლეთის — აზიისა და აფრიკის ყველა ხალხის გულს. განუსაზღვრელად ბედნიერი ვარ, რომ მირზა ფათალი ახუნდოვი თავის ნაწარმოებებს ქმნიდა ჩემი ენის მომძე ენაზე.

ნაზიმ ჰიქმეთი.

ძეგლი ავიგე ხელთუქმნელი...

ქართველი ხალხი ზეიმით აღნიშნავს ჩვენი მოძმე აზერბაიჯანის დიდი მწერლის მირზა ფათალი ახუნდოვის დაბადების 150 წლისთავს. ამ მნიშვნელოვან თარიღს განსაკუთრებული ინტერესით ხვდებიან საქართველოს მწერალ მეგობრები. ფრიად საგულისხმოა, რომ ახალი აზერბაიჯანული მწერლობის სახელოვანმა ფუძემდებელმა თავისი ცხოვრების ნახევარზე მეტი — 44 წელი — საქართველოში გაატარა.

მირზა ფათალი ცხოვრობდა თბილისში, ხარფუხის უბანში, ახლანდელი გორგასლის ქუჩის № 17 სახლში, რომელსაც ამშვენებს მემორიალური დაფა წარწერით:

„ამ სახლში ცხოვრობდა აზერბაიჯანელი ფილოსოფოსი და მწერალი მირზა ფათალი ახუნდოვი“.

ამას გარდა, მწერლის ხსოვნის უკვდავსაყოფად თბილის ი ს ბოტანიკურ ბაღში, სადაც კარგად დაცულია აზერბაიჯანელი კლასიკოსის საფლავი, კვარცხლბეკზე აღმართულია ფათალის ბრინჯაოს ბიუსტი.

ორივე ეს ფაქტი საუკეთესო გამოხატულებაა ქართველი ხალხის გულწრფელი სიყვარულისა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლის მირზა ფათალი ახუნდოვისადმი.

ჩვენი თანამემამულეების უზადო სიყვარული ამ პროგრესულად მოაზროვნე მწერლისადმი ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ჩაისახა, როცა დიდმა აკაკი წერეთელმა ქართულად თარგმნა მეზობელი ქვეყნის სახელოვანი მწერლის პიესა „ხანის ვეზირი“. მას შემდეგ ეს სიყვარული უფრო ძლიერდება, მტკიცდება და ორი მეზობელი ერის ძმობასა და მეგობრობაში გადაიზარდა.

თანამედროვე ქართველი მწერლები, ჩვენი რესპუბლიკის კულტურული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, დღეს კვლავ შეიკრიბებიან მირზა ფათალის საფლავზე, გამოვლენ სიტყვებით, ღირსეულად მოიგონებენ იმ დიდბუნებოვან ადამიანს, ვინც მთელი თავისი სიცოცხლე მშობელი ხალხის სამსახურს მოახმარა.

მირზა ფათალი ახუნდოკის საიუბილეო თარიღის ასეთი ზეიმით აღნიშვნა საქართველოში ერთხელ კიდევ ადასტურებს, თუ რაოდენ გვიყვარს მოძმე ერები და მათი ღირსეული შვილების კულტურული მემკვიდრეობა. ჩვენ ახლაც, ისევე როგორც ყოველთვის, ყველანაირი შევამკობთ დიდი მწერლის საფლავს, გულით მოვიგონებთ მას, ვინც წრფელად შეიყვარა მშრომელმა ხალხმა, ვინც თაობებს უნაუბს გზას სპეტაკი ცხოვრებით და მშეგნიერი შემოქმედებით.

ს ურ ა თ ს: გუშინ მირზა ფათალი ახუნდოვის ძეგლთან.

ფოტო **შ. ჩხეტიანისა.**

ახუნდოვის ხსოვნის აღსანიშნავად

საქართველოს საზოგადოებრიობა აღნიშნავს დიდი აზერბაიჯანელი მწერლისა და მოაზროვნის მირზა ფათალი ახუნდოვის დაბადების 150 წლისთავს.

შექმნილია საიუბილეო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც არიან ს. ჭილაია (თავმჯდომარე), ი. აბაშიძე, დ. ანთაძე, თ. ბუაჩიძე, ი. გრიშაშვილი, რ. ფალია, ბ. ყლენტი, გ. ლეონიძე, ა. მელაძე, გ. პაიკაძე, ე. ხარაძე, ს. ჭერეთელი.

ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით 30 ოქტომბერს დღისით მწერლის საფლავზე თბილისში გაიმართება ქალაქის მშრომელთა მიტინგი. საღამოს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში მოეწყობა საიუბილეო საღამო, მიძღვნილი მირზა ფათალი ახუნდოვის ხსოვნისადმი. საღამოს გახსნის საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ს. ჭილაია. მოხსენებას მირზა ფათალი ახუნდოვის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გააკეთებს საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი კრიტიკოსი ბ. ყლენტი, სიტყვებს წარმოთქვამენ აზერბაიჯანელი და ქართველი მწერლები. დასასრულ გაიმართება დიდი კონცერტი საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით. (საქდისი).

წერილი ზაქირს

მირზა ფათალი ახუნდოვი

შეხე, ქასუმ-ბეგ, დღე დაგვიდგა უფრო ნათელი,
შინ ვერ დადგებიან ჯაჭკაცები სალნი, ჯანმრთელნი,
მტერს არ ეგონოს, რომ გვიხილავს ნამუსგათელილს,
მას აკაცობა და სისხლის ღვრა უნდა განანოთ!

იმ თურქ ბეღურას, რომ ინება: ნაზ ფრთებს გავშლიო
და შევარდენსაც თავს დავუვლი მაღლა ცაშიო! —
ფრთები დაემტვრა იმ საბრალოს, ფრთები დაემტვრა.
რუსულ დიდებას ჩვენ ვუმღეროთ საგალობელი!

თურქებს ფრანგები მიეშველნენ, დაუდგნენ გვერდით,
ზღვის გოლიათი ბრიტანეთიც კავშირში შედის,
ერთურთს აკვნებენ და ერთმანეთს იცავენ მკერდით.
მაგრამ რუსების ძალიერებას რა შეედრება!

გამოჩნდა უკვე სულ პატარა ნაპოლეონი,
არც მას მოუწევს ბოძის მსგავსად ქება-დიდება,
თუ ბრიტანელი უკან გარბის პირშერცხვენილი,
შინ თავის ბალღებს იმედს ნეტავ რით დაპირდება?!

იმპერატორის ბრძანებები ძალაში არის:
სულ წინ მიიწევს შეუპოვრად რუსების ჯარი!
ჰა, ბალკანეთიც! — მოახლოვდა ისეთი ჟამი,
რომ თვით დუნაიც გზად და ხიდად გამოდგეს იქნებ.

და გამარჯვება ახლა მხოლოდ გიორგებს არ სჯერათ,
თუმც დაამტკიცეს მეომრებმა იქნებ ასჯერაც,
რომ გამარჯვება მათ ხელშია დღესა თუ ხვალე,
რომ პასკევიჩმა თვით არწრუმი გასრისა ბარემ.

უკან მისდევენ ლეგიონებს ლეგიონები,
მამაც ვაჭკაცებს შიში არ აქვთ შემტევ ბრძოლების,
ჩვენისთანები იქნებიან მილიონები,
თურქებს ავი და შემზარავი დღე გაუთენდათ.

ყარაბახელი ჯიგითი რომ ეკვეთა ფიცხლავ
მტერს ფაფარაშლილს, მტერს, რომელიც ტაცებს მიწას,
ის მეომარი მე ჩემს სისხლად და ხორცად ვიცან,
მისი გმირობა აქ დარჩება სამარადჟამოდ!

ხმალს ხელი სტაცა, შურდულივით მოახტა მერანს,
გაეკიდნენ და ვეღარ დასცეს, ვერა და ვერა!
იმისთანანი რომ ბევრი გვყავს, თურქებსაც სჯერათ,
ამიტომ გატყდნენ, სულიერად დაეცნენ ხელად.

კავკასიაა გმირ შშობელთა კერა მზიანი,
ვეღარ გაგვიძლებს, დაეცემა მტერი ტალი,
მტრის დროშას ნახავთ, რომ წავიღებთ ფრიალ-ფრიალით
და პეტერბურგში გასართობად გვექნება ხოლმე!

აზერბაიჯანულიდან თარგმნა

ლეილა ერაძემ.

* ეს ლექსი დაიწერა 1854 წელს, როდესაც მიმდინარეობდა ყირიმის ომი (1853-1856 წ. წ.). აზერბაიჯანელები რუსეთის არმიის რიგებში შედიოდნენ და ინგლის-საფრანგეთისა და თურქეთის კოალიციის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემში ყველაზე ძლიერი მრწამია სალხის სიყვარული და მზად ვარ თვით სიცოცხლეც კი მივიტანო ხალხის სიყვარულის სამსხვერპლოზე.

მირზა ფათალი ახუნდოვი

ლამპრად ანთებული სიტყვა

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ულ-კრიტიკულ და პუბლიცისტურ სტატიებში, ფილოსოფიურ ტრაქტატში „ინდოეთის პრინცის ქემალ უდ-დოვლეს სამი წერილი სპარსეთის პრინც ჯელალ-უდ-დოვლესადმი და ამ უკანასკნელის პასუხი ამ წერილებზე“, თანამედროვეთათვის გაგზავნილ წერილებში ნათლად ჩანს მ. ფ. ახუნდოვის ესთეტიკური შეხედულებანი. ძირითადი სტატიები, რომლებშიც ჩამოყალიბებულია ეს შეხედულებანი, არის „ფიჭრისტი ქიბიანი“, „პოეზიისა და პროზის შესახებ“, „კრიტიკული შენიშვნები“, „ძაღალი ირანის გაზეთ „მილეთის“ რედაქტორს“, „მირზა აღას პიესების კრიტიკა“, „მოლა-რუმისა და მისი ნაწარმოების შესახებ“. ახუნდოვის ფილოსოფიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი, რომლებიც რეაქციური დემოკრატიზმის დონემდე ამაღლდნენ, საფუძველი იყო, რასაც ეყრდნობოდა მისი მატერიალისტური ესთეტიკა.

ახუნდოვს ლიტერატურისა და ხელოვნების წყაროდ მიაჩნდა რეალური სინამდვილე და ადამიანის ცხოვრება. „ქემალ-უდ-დოვლეს წერილებში“ იგი აკრიტიკებს თავისი ეპოქის ლიტერატურას იმისათვის, რომ მას კავშირი არა აქვს რეალურ ცხოვრებასთან, იმისათვის, რომ იგი საესეი უშინაარსო მონაგონით, რომელიც შემკობილია ღვლარჭნილი ჰიპერბოლებითა და ბუნდოვანი მეტაფორებით, იმისათვის, რომ იგი გამსჭვალულია ამ ქვეყნის ძლიერთა წინაშე მლიქვნელობის სულისკვეთებით.

ახუნდოვმა მკვეთრად გააკრიტიკა ირანული გაზეთი „მილეთი“ და მის გარშემო შეკრებული პოეტები, რომლებიც ქადაგებდნენ რელიგიურობას, ასკეტიზმსა და ნაციონალიზმს. იგი წერდა, რომ ყოველი პოეტური ნაწარმოები უნდა შეიცავდეს გარკვეულ აზრს, ბუნებრივ და ნატურალურ სიუჟეტს, რომელიც მკითხველს აღუძრავს აღტაცების ან ნაღვლიან განწყობილებას. ესთეტიკური სიხარულის შეგრძნებას, როგორც, მაგალითად, ფირდოუსის გენიალური პოემა „შაჰნამე“.

მ. ფ. ახუნდოვს ხელოვნება წინასწარ-მეტყველურად მიაჩნდა შემეცნების სპეციფიკურ, სახოვან ფორმად. ამაზე იგი ლაპარაკობს სტატიაში „კრიტიკული შენიშვნები“, სინამდვილისადმი ხელოვნების დამოკიდებულების საკითხის ასე გადაჭრა ახუნდოვის მიერ განუყრელად დაკავშირებულია შემეცნების მის მატერიალისტურ თეორიასთან.

ლიტერატურასა და ხელოვნებაში ხალხურობის პრინციპი დემოკრატი მწერლის ესთეტიკურ შეხედულებათა არსებითს მხარეს შეადგენს.

1870 წელს ჯელალედინ — მირზასადმი წერილში ახუნდოვი წერს, ჩემი კომედიების მიზანი ადამიანთა ქცევის გაუმჯობესებაა. მწერალი მოითხოვდა, რომ ხელოვნების ნაწარმოებნი არა მარტო ამხილებდნენ სინამდვილის მანკიერებას, არამედ ხელსაც უწყობდნენ ხალხში კულტურისა და განათლების ფართოდ გავრცელებას. ახუნდოვისათვის კი ხალხის განათლებისათვის ბრძოლა „შეხამებული იყო ფეოდალური წყობილების და აღმოსავლეთში გაბატონებული იდეოლოგიის — ისლამის რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლასთან.

სტატიაში „პოეზიისა და პროზის შესახებ“ ახუნდოვი მაღალ შეფასებას აძლევს ისეთ პოეტებს, როგორიც არიან ფირდოუსი, ნიზანი, ჰაფიზი, საადი, ვაგიფი და განსაკუთრებით ზაქირი.

ზაქირის პოეზიაზე რომ ლაპარაკობს, ახუნდოვი აღნიშნავს, რომ თანამედროვეობის ამბებს, საკუთარ განცდებს პოეტი გადმოგვცემს ისე ცოცხლად, სახოვნად და ლამაზად, რომ მკითხველი ყველაფერს „ენებლიეთ განიცდის მასთან ერთად, და სწორედ ეს არის ის მაღალი სულიერი სიამოვნება, რომელიც ხელოვნებამ შეიძლება ადამიანს მიანიჭოს.

ცხოვრების ყველაზე სრული და ყოველმხრივი ასახვისათვის ახუნდოვი წინადადებას იძლევა უფრო ფართოდ იქნას გამოყენებული პროზაული ჟანრები. მათს დამკვიდრებაში, ახუნდოვის აზრით, დიდი როლი უნდა შეასრულოს კრიტიკამ.

სტატიაში „ჯონ სტიუარტ მილი თავისუფლების შესახებ“ ახუნდოვი მიუთითებს თავისუფალ აზრთან კრიტიკის გაუყრელ კავშირზე და აღნიშნავს, რომ, თუ შექმნილია აზრის თავისუფლება, კრიტიკის სარგებლობა მდგომარეობს აზრთა შეჯახებაში და, მაშასადამე, ჭეშმარიტების თანდათანობითს გამორკვევაში. ახუნდოვის აზრით, ნამდვილად, ობიექტური კრიტიკა დადებითს გავლენას ახდენს ახალგაზრდა თაობაზე და უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

მხატვრული შემოქმედების განვითარებაში კრიტიკის როლის შესახებ ახუნდოვის იდეებთან ერთად ფრიად ნაყოფიერია მისი იდეები საერთოდ საზოგადოებრივ პროგრესში კრიტიკის როლის შესახებ. ამ მხრივ ინტერესს წარმოადგენს ახუნდოვის წერილი მირზა მუჰამედ ჯაფარ ხანისადმი, სადაც მწერალი აღნიშნავს, რომ „ქემალ-უდ-დოვლეს წერილებში“ არ არის „ბოროტგანმზრახველობა“, არამედ არის კრიტიკა, და რომ ცუდი ჩვეულებებისაგან და ცუდი ქცევისაგან ადამიანებს დაიცავს არა ჯაუის სწავლება და დარიგება, არამედ კრიტიკა.

აქედან ჩანს, რომ ახუნდოვი კრიტიკის ცნებას აკუთვნებდა მნიშვნელობას, რომელიც მას პუბლიცისტიკასთან და ფილოსოფიასთან ანათესავებს.

თავის ლიტერატურულ-კრიტიკულ შეხედულებებში ახუნდოვი პოეტებისა და მწერლებისაგან მოითხოვდა ესთეტიკის ცოდნას, დროის პულსის შეგრძნობას, ხალხის ცხოვრებისა და ტრადიციების, მისი ბრძოლის სწორ და მაღალმხატვრულ ასახვას.

ახუნდოვის ესთეტიკამ უდიდესი პროგრესული როლი შეასრულა ისეთი დიდი მწერლებისა და პოეტების — XIX საუკუნის დამლევისა და XX საუკუნის დადგეგის რეალისტების — ჩამოყალიბებაში, როგორიც იყვნენ მ. ა. საბირი, ჯ. მამედყულიზადე, ა. ა. აზერდიეევი, ჯ. ჯაბარლი, ნ. ნარიმანოვი, რომლებმაც ჩვენი ლიტერატურა გადააქციეს ხალხის ბედნიერებისა და აყვავებისათვის ბრძოლის იდეურ იარაღად.

ზაჰიდ მამედოვი.
ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ს ა ხ ლ ი თბილისში, გორგასლის ქუჩაზე № 17, სადაც ცხოვრობდა დიდი აზერბაიჯანელი მწერალი და ფილოსოფოსი მირზა ახუნდოვი

ფოტო **გ. გოგოხიასი.**

საშვილიშვილო ღვაწლი

დიდი განმანათლებელი

მ ი რ ზ ა ფ ა თ ა ლ ი ახუნდოვის დაბადების 150 წლისთავს აზერბაიჯანელ ხალხთან ერთად სიყვარულით აღნიშნავს ქართველი ხალხი.

ჟურნალ „მ ნ ა თ ო ბ ი ს“ მეათე ნომერში, რომელსაც ამ დღეებში მიიღებს მკითხველი, დიდი აზერბაიჯანელი მწერლის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოგვითხრობენ, მ. ჭ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს და ა. ა ვ ა ლ ი ა ნ ი ს წერილები.

ა. ავალიანის წერილის სათაურია „მირზა ფათალი ახუნდოვის ერთი ღვაწლის გარშემო“. წერილში აღნიშნულია ის დიდი ღვაწლი, რომელიც ახუნდოვმა დასდო აღმოსავლეთის ქვეყნების შესახებ არსებული ისტორიული საბუთების, დიპლომატიური მიწერ-მოწერის თავმოყრისა და რუსულ ენაზე თარგმნის საქმეს. ქვემოთ შემოკლებული სახით ვაქვეყნებთ მ. ჭანიშვილის წერილს.

მ ი რ ზ ა ფათალი ახუნდოვი იყო თავისი დროის ფრიად განათლებული ადამიანი, რომელშაც თავისი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობით უდიდესი როლი შეასრულა არა მარტო აზერბაიჯანის, არამედ მთელი მუსულმანური აღმოსავლეთის მასების გათვითცნობიერებისა და მოწინავე მოღვაწეთა იდეური ფორმირების საქმეში. მისი მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლამ, რომელსაც განსაკუთრებული ინტენსიურობით აწარმოებდნენ ამ უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე აზერბაიჯანის საბჭოთა მეცნიერები— ლიტერატურათმცოდნენი და საზოგადოებრივი აზრის განვითარების მკვლევარნი, ცხადყო, რომ მირზა ფათალი ახუნდოვი ახლო იცნობდა მე-18 საუკუნის ფრანგ მატერიალისტთა ნაწარმოებებს, მაგრამ მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე და პოლიტიკურ მრწამსზე განსაკუთრებით დიდი გავლენა იქონიეს ოუსლუმა ფილოსოფიურმა აზროვნებამ, განმანათლებლობამ და დეკაბრისტულმა მოძრაობამ, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლებს ა. ბესტუჟევ-მარლინსკის და ა. ოდოევსკის იგი პირადად იცნობდა.

ახუნდოვი ფილოსოფიას და მეცნიერებას გადაჭრით გამოყოფს რელიგიისა და თეოლოგიისაგან, უარყოფ ს ღმერთის არსებობას და სულის უკვდავებას. მოითხოვს ბუნების მოვლენათა მეცნიერულ შესწავლას. პუბლიცისტურ ნაწარმოებებში ის აუცილებლად მიიჩნევს დაუნდობელ ბრძოლას დესპოტიზმისა და ტირანიის წინააღმდეგ, ბრძოლას ადამიანის პიროვნების ფიზიკურ-სულიერი თავისუფლებისა და სრულყოფისათვის.

ახუნდოვის ღრმა რწმენით, ადამიანი თავისი ბუნებით ცოდნისმოყვარე და გამომგონებელი, მუდამ ისწრაფვის პროგრესისაკენ, თავისუფლებისაკენ, მაგრამ მისი გონებრივ-მორალური წინსვლისათვის აუცილებელია აზროვნების თავისუფლება, რაც მიუდწეველი რჩება დესპოტიზმის და რელიგიური ფანატიზმის ბატონობის პირობებში. როგორც პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე, მ. ფ. ახუნდოვი გამოდის ხალხის მმართველობის მომხრედ; მოითხოვს შეიცვალოს აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკურ-საზოგადოებრივი წყობა, ძალით იქნას დამხობილი მჩაგვრელთა ბატონობა. ჩაგვრის მოსპობისათვის, — წერდა იგი, — საჭიროა ან თვითონ მჩაგვრელმა შესწყვიტოს ჩაგვრა ან ჩაგრულმა უკუაგდოს მოთმინება და მოსპოს მჩაგვრელი. ათეული და ასეული წლების მანძილზე, აღნიშნავს მ. ფ. ახუნდოვი, ხალხის გულშემატკივარი მოაზროვნენი, მგოსნები, სწავლულები, ფილოსოფოსები ფიქრობდნენ, რომ ჩაგვრის მოსსპობად საკმაოა მჩაგვრელთა შეგონება, ჩაგვრის მოსპობის აუცილებლობაში მათი დარწმუნება, მაგრამ ხანგრძლივმა ისტორიულმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ მსგავსი ცდები უნაყოფოა. ამიტომ საჭიროა, რომ თვით ჩაგრულს შეეგანებინოთ, რომ იგი (ჩაგრული) თავისი შემძლეობითა და ნიჭიერებით ბევრად აღემატება მჩაგვრელს, რომ ჩაგრულს შესწევს ძალა დაამხოს მჩაგვრელთა ბატონობა, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი გამოიღვიძებს და ერთხელ და საბოლოოდ უკუაგდებს მორჩილებას, მოთმინებას და ხელს აღმართავს ამ ქვეყნის ძლიერთა წინააღმდეგ.

ამ პროგრესული იდეების პროპაგანდას ემსახურება მირზა ფათალი ახუნდოვის მთელი მხატვრული შემოქმედება.

მმართველი წრეების, შეძლებული სოციალური ფენების მხილება არის მთავარი თემა და მოტივი ახუნდოვის მხატვრული შემოქმედებისა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნაავ სატირიკული მოთხრობა „გაცრუებული ვარსკვლავები“, სადაც ფეოდალური სპარსეთი ზარმოსახულია როგორც მშრომელ გლეხობის ფიზიკური და სულიერი ჩაგვრა-წამების აუტანელი სიღატაკის, ფეოდალთა და მემამულეთა განუკითხავი თარეშის, ჰარამხანებისა და რელიგიური ფანატიზმის ქვეყანა. ავტორი გესლიანად დასცინის დესპოტ შაჰ-აბასს, მის მლიქნელ ვეზირებსა და დიდებულებს, რომლებიც ფიზიკურად და სულიერად ანადგურებენ ხალხს და კატასტროფამდე მიყავთ ქვეყანა. მტარვალ შაჰ-აბასს, და მის ერთგულ დამქაშებს მწერალი უპირისპირებს ხალხის წრიდან გამოსულ უბრალო ხელოსანმეუნაგრეს იუსუფს, რომელიც დროებით მოხდა რა ხელისუფლების სათავეში, ხალხის სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისად გაატარა რადიკალური რეფორმები, რითაც იგი მწერლის უღრმეს სიმპათიას იმსახურებს.

დიდია მირზა ფათალი ახუნდოვის როლი, როგორც განმანათლებლისა ამ მხრივ, რომ მან პირველმა აღძრა საკითხი არაბული დამწერლობის შეცვლისა უფრო პროგრესულო დამწერლობით. ახუნდოვი თავის პრაქტიკული მოღვაწეობით და გამოცდილებით დარწმუნდა, თუ რა დიდ დაბრკოლებად ეღობებოდა მასებში წერა-კითხვის გავრცელებასა და განათლების შეტანას ძნელად შესათვისებელი არაბული ალფაბეტი, და მან ლათინური და რუსული ალფაბეტების საფუძველზე შექმნა ახალი ანბანი და იმთავითვე გააჩალა ენერგიული მუშაობა მის დასანერგად აზერბაიჯანულად, თათრულად, თურქულად და სპარსულად მოლაპარაკე ხალხებში, მაგრამ მას იმდენად ძლიერი, პირდაპირ გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს ფანატიკურმა სამღვდელოებამ, მემამულეთა და ბურჟუაზიის რეაქციულ-რეტროგრადიულმა წრეებმა, რომ მისი პროექტი დიდხანს განუხორციელებელი დარჩა; მისი გატარება მოსახერხებელ შეიქნა მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, საბჭოთა აზერბაიჯანში. ახუნდოვის ამ ღვაწლს, მის სხვა დიდ დამსახურებასთან ერთად, აღნიშნავს დღეს მთელი მოწინავე კაცობრიობა.

მირზა ფათალი ახუნდოვის ცხოვრება და მოღვაწეობა მიმდინარეობდა საქართველოში, მის დედაქალაქ თბილისში, აქვე ჰპოვა აზერბაიჯანის დიდმა მწერალმა-განმანათლებელმა თავისი სამუდამო განსასვენებელი ადგილი, ქართველი ხალხი მოწონებით თავს ხრის მისი ხსოვნის წინაშე.

მ. ჭ ა ნ ი შ ვ ი ლ ი.

საზეიმო სხდომა ბაქოში

ამ დღეებში ბაქოში გაიმართა საზეიმო საღამო, რომელიც მიეძღვნა ახუნდოვის დაბადების 150 წლისთავს.

საღამო გახსნა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. ახუნდოვმა.

მოხსენება „მ. ფ. ახუნდოვი — აზერბაიჯანელი ხალხის სიამაყე“ გააკეთა აზერბაიჯანის სახალხო მწერალმა სულეიმან რაჰიმოვმა.

თავიანთ გამოსვლებში მწერლის დიდ პოპულარობაზე ილაპარაკეს სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა გ. მ. მარკოვმა, უკრაინელმა მწერალმა ლენინური პრემიის ლაურეატმა მ. სტელმახმა, ქართველმა მწერალმა მ. მრევლიშვილმა, სომეხმა ლიტერატორმა ნ. ზარიანმა, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ნაზიმ ჰიქმეთმა,

პაკისტანელმა სტუმარმა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატმა ფაიზ ამმად ფაიზმმა, ირანელმა მეცნიერმა საიდ ნაფისიმ და ერაყელმა პროფესორმა ჰუსეინ ალი მაჰფუზმა თავიანთი გამოსვლები მიუძღვნეს იმ გავლენას, რომელიც მოახდინა მ. ფ. ახუნდოვის შემოქმედებამ აღმოსავლეთის ხალხთა კულტურის განვითარებაზე. (საქდისი).

სიმღერა მთებში

ღამეა. ამ უვალ, უკაცრიელ, მაგრამ ულამაზეს კლდეთა და მთათა შორის ნელი და მტკიცე ნაბიჯით მოდიან ომგადახდილი ადამიანები. თან მოაქვთ საჭურველი და მძიმე ტვირთი. ირგვლივ სიჩუმეა... თოვს, ყინავს, ცივა. მხოლოდ მეწინავეთა და ნაპრალებთან მდგომ გუშაგთა შეძახილი თუ დაარღვევს დიდებულ მთათა მუუდრეობას.

შორიდან, საიდანღაც, მოულოდნელად შემოიჭრა ხევში ოდნავ მბუუტავი სინათლე და უცბად გაიელვა ახლადგაკვალულ თოვლიან გზაზე. ეს სინათლე თანდათანობით უფრო „დიდი", უფრო ნათელი, კაშკაშა ხდება, როგორც გამოსხივება გიზგიზა კოცონისა. უცნაური და თავისებური სინათლის ეს სხივები ამ ქათქათა, უდმივი თოვლისა და ყინულის სამფლობელოში.

ყველას ყურადღება მიიპყრო ამ სინათლემ, რომელიც მზის მოულოდნელ ამოსვლას ჰგავდა დათოვლილ მთებში...

შემდეგ სინათლის სხივთან ერთად სიმღერის ხმაც მოისმა ოდნავ გასაგონად, თითქოს ამ სინათლეს ამოჰყვაო ეს ხმა.

თანდათან გაძლიერდა სიმღერა, გარკვევით გაისმა „ლილე" — ამაყი, არა მარტო მთებისა და ბუნების ჰიმნი სვანური, არამედ ადამიანის, მისი მიწა-მამულის სადიდებელი. მებრძოლებმა ნაბიჯს უმატეს, არც ისე ახლოს ყოფილა სინათლის ეს ნანატრი კერა, როგორც თავიდან ჩანდა... შორიდან მოდიოდა ეს სინათლე და ეს სიმღერა, სითბო და გულისთქმა, ძახილი და მოწოდება „ლილესი"...

უძველესია ეს სიმღერა, მაგრამ დაუბერებელი.

აქ, მთებში, კავკასიონის ძირას, სპეტაკ მთების ალთებთან პირველად ვისმინეთ გულად ადამიანთა ეს საგალობელი გულადი ადამიანების შესრულებით; ვისმენდით არა შენობაში, სცენაზე, არამედ აქ, სადაც იშვა და დავაყრიდა ეს დიდებული სიმღერა, სადაც მისი წმიდა და ჩაუქრობელი ფუძეა, სადაც მხნე და ჭირნახული ადამიანები საუკუნეების მიღმა მზისა და თავისუფლებისათვის სალაშქროდ ქმნიდნენ გმირულ სიმღერებს და ათასწლეულში გამოჭქონდათ იგი დროშად და მოწოდებად.

ბევრჯერ სმენიათ მოლაშქრეებს ეს სიცოცხლის სიმღერა, — ხალხის მხნეობის, სულის სიმტკიცის, წინსვლის, გაუტეხლობისა და შემართების სადიდებელი ჰიმნი, დამტკბარან მისი ვაჟკაცური სულითა და ყღერადობით. მაგრამ სულ სხვა იყო ის სიმღერა, ის „ლილე", რაც ამ უჩვეულო ვითარებასა და გარემოში მოვისმინეთ. ასე მას ვერავინ იმღერებს, ეს განუმეორებელია... ასეთი დიადი, ასე გულში ჩამწვდომი, აღმაფრთოვანებელი და დამრაზმველი „ლილე" არასოდეს არა გვსმენია...

აქ პროფესიული გუნდი არ ყოფილა, არც იმ გუნდს რომელიმე ცნობილი ლოტბარი ედგა სათავეში.

აქ ნაომარ და სახელმოხვეჭილ თანამოძმეებს ხვდებოდნენ სვანები, რათა ძმურად მისალმებოდნენ, გულითადად გაეზიარებინათ თანამემამულეთა საბრძოლო წარმატებანი, შეშველებოდნენ ამ უჩვეულო ლაშქრობისას გზის გაკაფვაში, შეემსუბუქებინათ მათი მძიმე ტვირთი და სამშვიდობოზე გასულიყვნენ უხიფათოდ...

ისინი მოვიდნენ საშველად და გზის მეკვლედ, თუმცა არავის უთხოვნია ეს.

გიზგიზა კოცონთან ფეხზე აღმდგარნი, ხელგაშლილები, „ლილეთი" შეხვდნენ სვანები თანამემამულეებს და სიმღერითა და კოცონით გაათბეს მათი გულები. ეს იყო მამაცთა პატივსაცემად თქმული დიდება, მათი ჭილდო. ამიტომაც იყო, რომ ამ სიმღერას შეუერთდა მეომართა მოძახილი, იმავე სიმღერით უპასუხეს მოლაშქრეებმა დამხვდურ მასპინძლებს. ასე შეხვდა შუაღამისას მასპინძელი და სტუმარი, შრომის ადამიანი და მეომარი. ეს იყო თანამოძმეთა დაუვიწყარი და მუდამსახსოვარი შეხვედრა...

ხელადა და ყანწი მოართვეს მასპინძლებმა მეომრებს, გულით დალოცეს მათი მარჯვენა და მამულიშვილობა. ბევრი მოიკითხეს, აქეს მათი ვაჟკაცობა. — ჩვენი ისმაილის მეგობრები მოვიდნენო, — ამბობდა ხალხი, მაგრამ ისმაილ გირგვლიანი ჯერ არსად ჩანდა... იგი ჯერ კიდევ თავის პოლკის არიერგარდულ ბრძოლებს ხელმძღვანელობდა და ამ უმაგალითო ლაშქრობისა და გადასვლის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო.

სწორედ ასეთ უჩვეულო ვითარებაში ხალხი მღეროდა „ლილეს". და ასეთ ადგილას და ასეთ ადამიანებთან შესახვედრად თქმული ეს სიმღერა, ბუნებრივია, მართლაც დიდების ჰიმნად ყღერდა.

მე არ ვიცი, თუ ვინ მღეროდა აქ, ის კი ვიცი, რომ აქ ჭაბუკებიც იყვნენ და მოხუცებიც; არც ის ვიცი, თუ რამდენი იყვნენ ისინი, ვიცი მხოლოდ, რომ ბევრნი იყვნენ. იქნება ამ ჭაბუკთა შორის ის ახალგაზრდა იყო, რომელიც ზაფხულს ენგურის მჭუბარე ტალღებს ეჭიდებოდა, ატანდა გოლიათი ხის მორებს; ან ის მამაცი მონადირე თუ მწყემსი იყო — კლდიდან კლდეზე რომ გადადიოდა ჯიხვთა ნაკვალევზე უშიშრად და გაბედულად, ან ის მამაცი და უტეხი მთამსვლელი, რომელმაც არაერთი უსახელო მწვერვალი დალაშქრა და გმირის სახელი მოიპოვა.

მე არ ვიცი, თუ ვის რა ხმა ჰქონდა, ან ვინ ასრულებდა ამ სიმღერაში პირველს, მეორეს, ბანს? მაგრამ დანადვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ყველა შეწყობილად და შეხმატკბილებულად ასრულებდა თავის მოვალეობას ამ მრავალრიცხოვან ადამიანთა კრებულში.

მკითხველო, იქნებ შენც იყავი მათ შორის, ვინც „ლილეს" ასრულებდა მაშინ... გაიხსენე მათი გვარი და სახელი, ვინც იყო თქვენთან ერთად აქ და ამ სიმღერას უერთებდა თავის ხმას.

ეს „ლილე" იყო მრავალთა შერწყმული, შეკრული და შეწყობილი სიმღერა, რომელიც დღესაც ჩამესმის ყურში და უდიდეს სიამოვნებას მგვრის, მაგონებს იმ ღამის უბადლო და დაუვიწყარ სიმფონიას, რომელსაც თვით გოლიათი ხალხი ასრულებდა ბუმბერაზი მთიების დირიჟორობით.

მოლაშქრეთა შორის ბევრმა არ იცოდა ამ სიმღერის ტექსტი... სვანმა მეგობარმა გვითარგმნა იგი სიტყვასიტყვით, თუმცა ჩვენთვის იგი უთქმელადაც ნათელი და გასაგები იყო...

აი რა არის კარგი სიმღერის ბუნება და ხალხის შემოქმედი გენიის მიერ შექმნილი და ხორცშესხმული ჭეშმარიტი ხელოვნების ძალა!

დილით ადრე, გამთენიისას, იმავე სიმღერით დაემშვიდობნენ ერთმანეთს „სტუმარ-მასპინძლები". დიდხანს მიაცილებდა მეომართა მწყობრ რიგებს ეს სიმღერა, გმირობისა და სინათლის საგალობელი, მათს სულსა და გულში სამუდამოდ დამკვიდრებული.

არასოდეს ასე არ განმიცდია „ლილე", არც მანამდე და არც მის შემდეგ, თუმცა ყოველთვის სიამოვნებით ვისმენ მას. ის სიმღერა, ის „ლილე" მაინც სხვა იყო, მართლაც უჩვეულო დროსა და ვითარებაში, ასევე უჩვეულო, უზადოდ შესრულებული. ასე განიცადა იგი ყველამ, ვინც ამ ლაშქრობაში მონაწილეობდა, და დღესაც ასე იგონებენ მას ომგადახდილი ადამიანები.

პ. შამათავა.

დინამოელთა გამარჯვება კიშინიოვში

ფეხბურთი

ბუშინ თბილისის დინამოელებმა კიშინიოვში გამართეს საკაშირო ჩემპიონატის ფინალის მეორე წრის პირველი მატჩი ფეხბურთში ადგილობრივი „მოლდოვას" წინააღმდეგ.

ამ მატჩში დინამოელთა რიგებში ვხედავდით თვალსაჩინო ცვლილებას. აი როგორ გამოიყურებოდა იგი — კოტრიკაძე, ბ. სიკინავა, ხუციელავა, ჩოხელი, ზინკლიშვილი, ხელაძე, პეტრიაშვილი, დათუნაშვილი, კალოევი, ბარქაია, მესხი.

თამაში თბილისელთა უპირატესობით დაიწყო, ისინი დიდხანს ინარჩუნებდნენ ინიციატივას, მაგრამ ანგარიშის გახსნა მათ მხოლოდ 39-ე წუთზე შეძლეს. ეს ასე მოხდა — მასპინძლები დაჯარიმდნენ, დაახლოებით 18-19 მეტრიდან მესხიმ „ცოცხალ კედელში" მოძებნა ადგილი, საიდანაც შეიძლებოდა „კარის აღება" და ბურთი მეტოქის კარში მოათავსა.

მეორე ნახევარში ბრძოლის სურათი არ შეცვლილა. მხოლოდ ბოლო წუთებში კიშინიოველებმა ორჯერ მიიტანეს იერიში დინამოელთა კარზე, მაგრამ ორივეჯერ იხსნა კარი კოტრიკაძემ.

მინიმალური ანგარიშით — 1:0 გაიმარჯვეს თბილისის დინამოელებმა.

დამარცხება

აუტსაიდერთან

ბუშინ ქუთაისის ტორპედოელები საკუთარ მოედანზე შეხვდნენ მეორე ფინალური ჯგუფის აუტსაიდერს ალმა-ატის „კაირატს". ამ მატჩში გამარჯვებას ქუთაისელებს უწინასწარმეტყველებდნენ, მ; არამ მოლოდინი არ გამართლდა.

მართალია, პირველ ტაიმში მასპინძლებს ჰქონდათ ერთგვარი უპირატესობა და ანგარიშიც თითქოს მათ უნდა გაეხსნათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს ხელსაყრელი მომენტები. სამაგიეროდ სტუმრებმა 29-ე წუთზე კარგად გამოიყენეს კუთხური და მიზანს მიაღწიეს 1:0.

მეორე ნახევარში „ტორპედოს" მოთამაშეთა გადაადგილებამ საქმეს ვერ უშველა კრიტიკული მომენტები ბევრი იყო, გოლი კი არ სჩანდა. ამრიგად, ქუთაისის „ტორპედო" საკუთარ მოედანზე დამარცხდა აუტსაიდერთან — „კაირატთან" მატჩში 0:1.

ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ, ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲐ თამაშობდნენ ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლები — დინამო (ალმა-ატა) „ლოკომოტივი" (ალმა-ატა) „ტორპედო" (ბაკური) — ბ: 0.

ᲡᲣᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ჩემპიონი კიევის „დინამო" საკუთარ მოედანზე შეხვდა ბაქოს „ნეფტიანიკს" და გაიმარჯვა 4 : 1.

ᲓᲝᲜᲔᲪᲙᲘᲡ „შახტიორმა" თავის სტადიონზე ანგარიშით 0 : 1 დამარცხება განიცადა მოსკოვის „სპარტაკთან" მატჩში.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ „ზენიტისა" და ტაშკენტის „პახტაკორის" შეხვედრა ლენინგრადში დამთავრდა „ზენიტის" გამარჯვებით 2 : 1.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ადგილობრივი „ტორპედოსა" და დონის როსტოვის სკა-ს მატჩის შედეგია 4 : 1 ტორპედოელთა სასარგებლოდ.

ᲛᲘᲜᲡᲙᲨᲘ „ბელარუსისა" და ერევნის „სპარტაკის" გუნდების სუპერეზობა დამთავრდა „ბელარუსის" გამარჯვე ბ ით 4 : 2.

ᲑᲐᲠᲙᲝᲕᲨᲘ თამაშობდნენ ადგილობრივი „ავანგარდი" და მოსკოვის „ლოკომოტივი". შეხვედრის შედეგი ფრე — 2 : 2.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲨᲘ რიგის „დაუგავასა" და ლენინგრადის „დინამოს" მატჩის შედეგია 3 : 0 დინამოელთა სასარგებლოდ.

ᲙᲣᲑᲘᲨᲔᲕᲨᲘ ადგილობრივი „კრილია სოვეტოვი" თამაშობდა ვილნიუსის „ჟალგირისის" წინააღმდეგ და დაამარცხა მეტოქე 6 : 1.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲗᲘᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (მ.)	17	8	8	1	21—10	24
„სპარტაკი" (მ.)	17	9	4	4	25—17	22
„დინამო" (კ.)	17	7	7	3	32—22	21
ცსკა	17	7	7	3	19—13	21
„დინამო" (თბ.)	17	7	7	3	23—17	21
„ტორპედო" (მ.)	17	6	6	5	28—18	18
„პახტაკორი" (ტ.)	11	6	5	6	19—26	17
„შახტიორი" (დ.)	17	5	6	6	17—20	16
სკა (როსტ.)	17	3	8	6	19—27	14
„ზენიტი" (ლ.)	17	4	4	9	26—26	12
„ნეფტიანიკი" (ბ.)	17	1	8	8	15—34	10
„მოლდოვა" (კიშ.)	17	2	4	11	14—28	8

„თბილისის დიდი რკალი"

ᲔᲡᲢᲐᲤᲔᲢᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲘᲖᲔᲖᲔ

ᲒᲐᲡᲣᲚ კვირა დღეს საქართველოს დედაქალაქის მაგისტრალებზე მოეწყო ტრადიციული კომბინირებული ესტაფეტა — „თბილისის დიდი რკალი" საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე. სპორტსმენებს უნდა გაეკლოთ 17 ეტაპი, აქედან სამი ველოსიპედებით. ამანათრბენში მონაწილეობას იღებდა 12 გუნდი. ყოველ მათგანში შედიოდა 12 ვაჟი და 5 ქალი.

12 საათზე ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე გაისმა სასტარტო პისტოლეტის სროლის ხმა და ყველა გუნდის წარმომადგენლებმა წაიღეს ამანათები ქალაქის ქუჩებში.

სტარტზევე დაწინაურდა საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის კოლექტივი. ამ უმაღლესი სასწავლებლის სპორტსმენებმა, როგორც ცნობილია, გაიმარჯვეს წინა ყველა ესტაფეტაში. მათ ამჯერადაც გადაწყვიტეს მოეპოვებინათ მთავარი პრიზი. გარდა ამისა, სტუდენტთა გუნდი საუცხოოდ იყო მომზადებული. ამიტომ ბრძოლა ეტაპებზე ძირითადად მეორე და მესამე საპრიზო ადგილებისთვის მიმდინარეობდა. მეორე ადგილზე რიგრიგობით გადიოდნენ ხან სპორტული კლუბის „გამარჯვების" (თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანა), ხან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა, ხან კი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდები.

სტარტიდან 32 წუთისა და 59 წამის შემდეგ ფინიშთან პირველი მივიდა ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენელი ნანი ნოზაძე. მეორე ადგილი დაიკავეს უნივერსიტეტის სპორტსმენებმა, რომლებიც გამარჯვებულებს 22,6 წამით ჩამორჩნენ. მესამე ადგილზე იყვნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის სპორტსმენები — 33 წუთი და 48 წამი.

მეორე ჯგუფის კოლექტივებს შორის პირველ ადგილზე გამოვიდა ინდუსტრიული ტექნიკუმის გუნდი, მესამე ჯგუფის კოლექტივებში — სპორტული კლუბის „გამარჯვების" გუნდი.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის საქალაქო განყოფილების თავმჯდომარემ, გაზეთ „თბილისის" რედაქტორმა ნ. ჯაშმა გამარჯვებულებს საზეიმო ვითარებაში გადასცა თასები და დიპლომები. (საქდესი).

ᲓᲐᲘᲖᲣᲠᲐ

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲔᲥᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

ᲝᲠᲘ კვირის განმავლობაში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ცენტრალურ კართან ფრიალებდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალამი. აქ მიმდინარეობდა პოლონეთის საექსპორტო საქონლის გამოფენა.

გამოფენის დირექტორმა **ᲡᲚᲐᲕᲝᲛᲘᲠ ᲝᲠᲝᲜᲗᲐᲛ**, რომელმაც შეაფასა გამოფენის მუშაობის შედეგები, საქდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში გამართული გამოფენა ყველაზე დიდი გამოფენა იყო, რომელიც კი ჩვენმა ქვეყანამ მოაწყო არა მარტო სსრ კავშირში, არამედ, საერთოდ საზღვარგარეთ, რათა გვეჩვენებინა საექსპორტო შესაძლებლობანი. გამოფენაზე რომ უფრო ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ, საინტერესოა აღინიშნოს, რომ თბილისში ექსპონატების ჩამოსატანად დაგვჭირდა 1.400-ზე მეტი რკინიგზის ვაგონი.

ჩვენ ძალიან დიდ მადლობას ვუხდით ჩვენს მნახველებს — — მეუნიერი თბილისის მშრომელებს გულთბილი მიღებისათვის. დიდ მადლობას ვუძღვნით საქართველოს რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, რომლებმაც ინახულეს გამოფენა და წარმატებანი უსურვეს ჩემი ქვეყნის ხალხს.

პოლონეთის საექსპორტო საქონლის გამოფენის მუშაობის დამთავრებასთან დაკავშირებით საქართველოს სავაჭრო პალატამ გამართა დარბაზობა. (საქდესი).



ᲒᲐᲠᲘᲭᲠᲐᲟᲘ ᲛᲗᲘᲣᲚᲔᲗᲨᲘ.
ფოტოტიუდი ს. თბილელისა.

სტუმრად მარჯანიშვილის სახელობის თეატრში

28 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა გულთბილად გაუღო თავისი კარები მრავალ სტუმარს — დიდი საბჭოთა რეჟისორის მოწაფეებს, რომლებიც ამჟამად ცნობილი რეჟისორები, მსახიობები, თეატრმცოდნეები არიან. მარჯანიშვილის თეატრის კოლექტივმა საპატიო სტუმრებსა და თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს უჩვენა კ. გუცკოვის პიესა „ურიელ აკოსტა", რომლის დადგმა კოტე მარჯანიშვილმა 1928 წელს განახორციელა.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ ივდითისა და ბენ-აკიბას როლების პირველი შემსრულებელნი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ანჯაფარიძე და საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ა. ჟორჟოლიანი. ურიელის როლი შეასრულა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა პ. კობახიძემ, დე სანტოსისა — სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვ. გოძიაშვილმა, დე სილვასი — რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ტ. საყვარელიძემ, დანარჩენი როლები — რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ი. ტრიპოლსკიმ, ვ. ტატიშვილმა, ა. კობალაძემ, ე. მალალაშვილმა და სხვებმა.

სპექტაკლი, ისევე როგორც პრემიერის დღეს, მიმდინარეობდა მხატვარ პ. ოცხელის გაფორმებით, მუსიკის ავტორია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე თ. ვახვახიშვილი, ცეკვების დამდგმელი — ქორეოგრაფი დ. მაჭავარიანი.

შეკრებილნი დიდხანს უკრავდნენ ტაშს სპექტაკლის მონაწილეებს. სტუმრებს მიმართა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ვერიკო ანჯაფარიძემ. „თქვენი ტაში, თქვა მან, მიგვაჩნია როგორც ჯეროვანი პატივისცემა კოტე მარჯანიშვილისა, მისი შესანიშნავი ხელოვნებისა".

შემდეგ გამოვიდა მოსკოველი რეჟისორი და თეატრმცოდნე გ. კრიჟიცკი. მან თქვა, „კოტე მარჯანიშვილის სახელი ძვირფასია ყველა საბჭოთა თეატრისათვის. მან საფუძველი ჩაუყარა ქართული, რუსული, უკრაინული, ლატვიური თეატრების მოღვაწეთა მეგობრობას. დიდ ხელოვანს ყოველთვის მოიგონებენ მისი მოწაფეები". (საქდესი)

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲘᲤᲮᲘᲖᲚᲔ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ. (საკ. კორ.). მთის სოფელ მელურაში ასეთი შემთხვევა მოხდა: კოლმეურნე ს. ქურასვილიანის სახლს ხანძარი გაუჩნდა. ეს შენიშნა სოფლის მასწავლებელმა ვენერა ქლიბაძემ. მან მოიხმო მოსწავლეები და შეუდგნენ ცეცხლის ჩაქრობას. ამ საქმეში მათ მეზობლებიც მიეხმარნენ და ადამიანებმა სძლიეს სტიქიას.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

◆ **ᲐᲮᲛᲔᲢᲐ.** (საკ. კორ.). ქასრისწყლის რვაწლიანი სკოლა შეუფერებელ ბინაში იყო მოთავსებული. კაბინეტ-ლაბორატორიების უქონლობა ნორმალურ მეცადინეობას აფერხებდა.

ახლახან აქაურმა მოსწავლეებმა კარგი საჩუქარი მიიღეს. ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობამ ახალი სასკოლო შენობა აიგო და კეთილმოაწყო იგი.

◆ **ᲐᲛ** დღეებში დიდი სიხარული განიცადეს დუშელმა მშრომელებმა. სოფელ გრიგოლაანთკარიდან 6 კილომეტრ მანძილზე გამოიყვანეს ანკარა წყარო, რითაც დღეისათვის ქალაქი მთლიანად უზრუნველყოფილია წყლით.

Თ. ᲮᲣᲪᲣᲠᲐᲣᲚᲘ.

◆ **ᲒᲐᲗᲣᲨᲘᲜ** ზღვისპირა პაპკის სახაფხულო თეატრში კონცერტი გამართა აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის ყარაბაღის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა, რომლის მხატვრული ხელმძღვანელია კომპოზიტორი ტ. ტერ-ავეტისიანი.

ანსამბლის კოლექტივმა შეასრულა აზერბაიჯანული, სომხური, რუსული, უზბეკური ხალხური სიმღერები და ცეკვები.

ნ. პავლოვა.

ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ

Თ. ნ. ᲙᲐᲨᲔᲜᲐᲘᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ თეატრალურმა ხელოვნებამ დიდი დანაკლისი განიცადა. ამა წლის 28 ოქტომბერს 75 წლისა გარდაიცვალა საბჭოთა თეატრის ერთ-ერთი უხუცესი მსახიობი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვერა ნიკოლოზის ასული პაშენაია.

ᲒᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘ

ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲫᲐᲚᲘ 50 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘᲡ სახელმწიფო ნაკრძალი, რომელიც 1912 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით შეიქმნა, აღმოსავლეთი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე მდებარეობს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ლაგოდეხის ნაკრძალს მზრუნველი პატრონი გაუჩნდა. ახლა ბუნების ეს იშვიათი ძეგლი, რომელსაც 13.283 ჰექტარი ფართობი უჭირავს, ჩვენი ქვეყნის მეცნიერთა, ტურისტთა, ყველა მშრომელის საყვარელ ადგილს წარმოადგენს. ნაკრძალის ფლორა უმდიდრესია. აქ ყვავილოვან მცენარეთა რიცხვი 1.500-ს აღწევს.

ნაკრძალში საქართველოს ფაუნის ყველა წარმომადგენელი გვხვდება. ჯიხვების რაოდენობამ აქ 6.500 სულს მიაღწია. ტყეებსა და იალღებზე 450 სული ირემი დანავარდობს.

არსებული ფლორისა და ფაუნის შენარჩუნება და მისი ბუნებრივი სიმდიდრეების გამოკვლევა — აი რას ემსახურება ნაკრძალის კოლექტივი.

ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის კოლექტივი ამჟამად იუბილესათვის ემზადება.

ს. ᲥᲝᲩᲚᲐᲫᲔ.



ᲛᲐᲛᲐᲪᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ გაზეთის დღევანდელი ნომრის პირველ გვერდზე გამოქვეყნებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის" დაჯილდოების შესახებ.

ამ ადამიანებმა, რომლებიც ბრძანებულებაში არიან მოხსენებულნი, წყალწაღებულთა გადარჩენისას გამბედაობა, მამაცობა და თავგანწირულობა გამოიჩინეს, სიცოცხლე დაუბრუნეს თავიანთ მოძმეებს. ვინ არიან ისინი, ეს უბრალო საბჭოთა ადამიანები?

ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ შუა რიცხვები იყო, ცხელოდა. საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ნაწილის პირველადი პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანი კაპიტანი **ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ თევდორეს-ძე ᲔᲠᲔᲨᲘᲕᲘ** და საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ნაწილის ავტომანქანის ტარების ინსტრუქტორი სერჟანტი **ᲕᲐᲟᲢᲝᲠ ᲡᲘᲠᲒᲘᲡ-ᲫᲔ ᲠᲣᲓᲜᲔᲕᲘ** მანქანით ბრუნდებოდნენ სამსახურებრივი დავალებიდან ნაწილში. ბარათაშვილის ხიდი გაიარეს და ქვევით ჩაჰყვნენ სანაპიროს. უცებ ქალების წივილ-კივილი მოესმათ. შოფერმა მანქანა სანაპიროს ჯებირთან შეაჩერა. მტკვრის ტალღებს ებრძოდა ქალიშვილი, მაგრამ წყალი უფრო ძლიერი იყო. მსხვერპლი დროდადრო თუ-გამოჩნდებოდა ზედაპირზე.

კაპიტანი ეპიშევი წამითაც არ შეფიქრებულა ისე გადაეშვა წყალში, ცოტა ხნის შემდეგ სერჟანტი რუდნევიც გადახტა. მათ ნაპირზე გამოიყვანეს 19 წლის ქალიშვილი, პირველი დახმარება გაუწიეს მას. მეორე დღეს კი საავადმყოფოში ინახულეს გადარჩენილი.

ნაწილში ყველა ამაყობს მამაცი მეგობრებით.

ᲔᲡ ᲛᲝᲮᲓᲐ ამა წლის 15 მაისს. მილიციის უფროსი ლეიტენანტი, სადგურ ცხინვალის მილიციის სალიანდაგო საგუშაგოს უფროსი **ᲒᲘᲠᲡᲝᲜ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲡ-ᲫᲔ ᲕᲐᲚᲘᲔᲕᲘ** შინ ბრუნდებოდა. ლიახვის პირთან წივილ-კივილი შემოესმა. ახალი ნაწვიმარი იყო. აბობოქრებულ ლიახვში, იქ, სადაც სალთვისის არხი იღებს სათავეს, შემთხვევით ქალი გადავარდნილიყო წყალში. გერსანმა აღარ დააყოვნა და ტანსაუხდელად მორეკვში გადაეშვა. სულ რამდენიმე მეტრი იყო დარჩენილი წყლის საშვებ გვირაბამდე. კიდევ წუთი და ტალღები ქალს გვირაბში ჩაითრევდა. გ. ვალიევმა სულზე მიუსწრო, ქალი ტალღებს გამოსტაცა და მდინარის მეორე ნაპირზე გაიყვანა, სასწრაფოდ ხელოვნური სუნთქვა ჩაუტარა და გონზე მოიყვანა. იგი აღმოჩნდა ცხინვალის ფსიქიატრიული საავადმყოფოს ექთანი სამშვილის დედა ქეთო ოდიკაძე.

***ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ შოთა თეოფილეს-ძე ᲨᲐᲠᲘᲫᲔ** — ხაშურის სალოკომოტივო დეპოს ელმავლის მემანქანე, ამ ორიოდე თვის წინათ წყალსაცავის ნაპირას მიდიოდა ჩაფიქრებული. უცებ ხმაური შემოესმა. მისკენ გაოგნებული მორბოდა პატარა ბიჭუნა ყვირილით — ბიძია, ბიძია გვიშველე! თან წყლისკენ უთითებდა. შოთა შარიქაძემ წყალში ბავშვი დაინახა, რომელიც პატარა, უსუსურ ხელებს იქნევდა უშნეოდ. მემანქანე უმალ წყალში გადაეშვა და 4 წლის გოგონა ნაპირზე ატატებული გამოიყვანა.

მეორე დღეს მთელი დეპო ულოცავდა შოთას სიმამაცეს. პირველად მასთან ბავშვის მამა, სავაგონო დეპოს შოფერი პაპკინი მიიჭრა და გადაეხვია.

ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲘᲡ ᲖᲝᲛᲐᲕᲡ... ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲔ

ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲘᲜᲔᲗ, რომ გესაჭიროებათ 100 მეტრი მანძილის გაზომვა ერთ სანტიმეტრამდე სიზუსტით. მაგრამ თუ გთხოვენ ასეთივე სიზუსტით გადაზომოთ კილომეტრი ან 10 კილომეტრი? ეს უკვე, რა თქმა უნდა, ძნელია. თუმცა ამ ამოცანის გადაწყვეტა შეიძლება სწრაფად და სრულიად მარტივად. ამაში დაგეხმარებათ ახალი გამზომი ხელსაწყო „ეოდ-1" — ელექტროოპტიკური მანძილმზომი. იგი დაამუშავეს გეოდეზიის, აეროფოტოგადაღებისა და კარტოგრაფიის ცენტრალურ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში და ამჟამად წარმოებს მისი სერიული გამოშვება. ხელსაწყო ზომავს დიდ მანძილებს გასაოცარი სიზუსტით. მაგალითად, 25-30 კილომეტრი მანძილის გაზომვისას იგი მხოლოდ 3-4 სანტიმეტრით ცდება.

თავისი მოქმედების პრინციპით ხელსაწყო სრულიადაც არ ჰგავს ჩვეულებრივ მანძილმზომს. იგი უფრო მოგვაგონებს რადიოლოკატორს. ძირითადი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ აქ რადიოტალღის ნაცვლად გამოყენებულია სინათლის სხივი. ოპტიკური სისტემის დახმარებით ამ სხივს მიმართავენ ადგილის იმ წერტილში, სადამდისაც საჭიროა მანძილის გაზომვა.

აქვე წინასწარ დგამენ თავისებურ სარკეს, რომელიც შედგება 133 პატარა „ნამსხვრევისაგან". ყოველი ასეთი „ნამსხვრევის" წინ მოთავსებულია ლინზა.

ეს სისტემა იჭერს სინათლის სხივს და მას უკანვე არეკლავს ხელსაწყოსაკენ.

ამრიგად, სინათლის სხივი გახაზომ წერტილამდე მანძილის გავლის შემდეგ კვლავ ხელსაწყოს უბრუნდება. მაგრამ როგორ გავიგოთ, რა მანძილი გაიარა მან?

ცნობილია, რომ სინათლის სიჩქარე უდრის 300 000 კილომეტრს წამში.

ხოლო რამდენადაც ვიცით ეს სიჩქარე, საჭირო ხდება იმის დადგენა, თუ რა დროს ანდომებს სხივი გასაზომი მანძილის გავლას. ამ მონაცემებით კი შეგვიძლია გამოვთვალოთ, რას უდრის გავლილი მანძილი. თუმცა არცერთ, თუნდაც ყველაზე სრულყოფილ ქრონომეტრს არ შეუ